# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 6 სექტემბერი 2005 №203 (2526) ფასი 50 თეთრი




**ახალი მანქანა დელ პიეროსთვის**

მიჩელ სალგადო იანვრიდან იუვეში გადავა

6



**ერთი რუსის ოქროსზოდიანი ცოლი**

ტატიანა ახტა, დახტა და ქერის ორმოში ჩახტა

13



**ძმის ფეხსაცმელი — რაინჰოლდ მესნერის ალიბი**

14

# ვიკინგებს სისხლი სწყურიათ

## დანიელები სამ-ოთხეს ელიან



ქაქა შალამბერიძე კოპენჰაგენიდან

კოპენჰაგენი დანია — საქართველოს მატჩს მოუთმენლად ელის — აქაურებს ვერც წარმოუდგენიათ, რომ შესაძლოა, მათი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩეს. არადა, თუ ვიკინგებმა დარჩენილი სამივე მატჩი ვერ მოიგეს (თან თურქეთმაც უნდა დაკარგოს ქულა), ასეც მოხდება, რისი გაგონებაც, როგორც გითხარით, კოპენჰაგენელებს არც კი უნდათ.

3:0, 4:0 — ასეთია აქაურთა პროგნოზები — საქართველომ თბილისში ქულები დაგვაკარგვინა და ჯავრი უნდა ვიყაროთო. თუმცა აქა-იქ ისეთებსაც შევხვდით, მხოლოდ საინტერესო თამაშის ნახვა რომ ისურვეს, მაგრამ, მგონი, ესაც ოდენ ზრდილობიანი ჟესტი იყო და მეტი არაფერი...

იხილეთ მეორე გვერდი



დანიელებს თბილისური 2:2 დღემდე ვერ მოუნელებიათ

# გვიანი შემონდგომა

## გორდონ ჰერბერტმა დანაშაული აღიარა

გუშინ ფინეთში დამარცხებული საქართველოს კალათბურთელთა გუნდი თბილისში დაბრუნდა და მისმა კანადელმა თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა პრესკონფერენცია მოაწყო. მან წაგების მიზეზებზე ისაუბრა. თქვა, თუ ამ მარცხში დამნაშავეს ეძებთ, აქ ვარო. იქვე იყო გორდონ ჰერბერტის თანაშემწე კიმ შილდსიც, რომელსაც ასევე ვესაუბრეთ საქართველოს ნაკრების დამარცხების მიზეზებსა და დარჩენილ შანსებზე...

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



# პერსონალურები არ იქნება

## კაცი არც თავზე უნდა დაისვა და არც ფეხზე



ბაჩა შალამბერიძე
კოპენჰაგენიდან

გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები კოპენჰაგენიდან 20-25 კილომეტრის დაშორებით მდებარე „ფარუმ პარკში" რომ დაბინავდნენ. ფარუმის დასახლება, როგორც აქ გვითხრეს, ადმინისტრაციულად კოპენჰაგენს ეკუთვნის, თუმცა აქაურები მაინც სხვა ქალაქად მოიხსენიებენ, ანუ, რომ იტყვი, ფარუმში მივდივარო, თვლიან, რომ კოპენჰაგენიდან გადიხარ. გუშინდელთან შედარებით, დღეს საკმაოდ თბილა — 19-20 გრადუსია და ცაც მოწმენდილია. ამბობენ, ნალექიანი ამინდი არც თამაშს უნდა დაემთხვესო. მოკლედ, ასეთია კოპენჰაგენური ამბები და ახლა თავად ნაკრებზეც ვთქვათ.

გაიოზ დარსაძემ გუშინ ბიჭებს განტვირთვის საშუალება მისცა და კოპენჰაგენის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინა. ქალაქში არ გამოსულან ახალგაზრდული ნაკრების წევრები და ეს ბუნებრივიცაა — ისინი ხომ დღეს თამაშობენ. ორივე ნაკრები, ეროვნულიცა და ახალგაზრდულიც, „ფარუმ პარკის" სპორტული კომპლექსის მოედანზე ვარჯიშობს და აქვე ამ კომპლექსის შესახებაც ორიოდ სიტყვა — „ფარუმ პარკში" არის სტადიონი, სადაც ითამაშებენ დანიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები. ამავე სტადიონის მთავარი ტრიბუნა კი გარე მხრიდან სასტუმროა, სადაც ჩვენები ცხოვრობენ. კომპლექსს ეკუთვნის სამი სტანდარტული ზომის მოედანი, კაფე-ბარი, მცირე ატრაქციონები... ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. ცალკე სალაპარაკო თემაა დანიელი ჟურნალისტები. გასაკვირია და, ჯერჯერობით არც ერთ აქაურ ჟურნალისტს არ მიუქცევია ყურადღება საქართველოს ნაკრებისთვის, თუმცა, როგორც გუშინ გვითხრა ჩვენი ნაკრების თავკაცმა, ერთი-ორმა უკვე ითხოვა ვარჯიშზე დასწრების უფლება და ალბათ აწი უფრო „გამოცოცხლდებიან" ჩვენი კოლეგები... მანამდე კი ***გაიოზ დარსაძესთან*** ინტერვიუს გთავაზობთ...



გაიოზ დარსაძე



ზურაბ ხიზანიშვილი და ნოდარ ახალკაცი

— ბიჭების მდგომარეობით კმაყოფილი ვარ, მონდომებით ვარჯიშობენ და განწყობაც ისეთია, როგორიც უნდა იყოს — ყველა სერიოზულად ემზადება მოახლოებული მატჩისთვის. ასე რომ, უკმაყოფილების საბაბი ჯერჯერობით არ მაქვს.

**— ვინმეს ტრავმა ხომ არ აწუხებს?**

— ზურაბ მენთეშაშვილი იტკიებს ფეხს, მაგრამ საშიში არ უნდა ჩანდეს. ყოველ შემთხვევაში, ექიმები გასინჯავენ და პასუხსაც გვეტყვიან.

**— ლევან კობიაშვილი უკრაინასთან მატჩისას თავს შეუძლოდ გრძნობდა და ახლა როგორ არის?**

— საბედნიეროდ, ის უკვე კარგადაა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

**— უკრაინასთან ნათამაშებ შემადგენლობას საგრძნობლად შეცვლით?**

— გასაგებ მიზეზთა გამო, ამ შეკითხვას არ ვუპასუხებ.

**— დანიის ნაკრებზე თუ გაქვთ სათანადო ინფორმაცია?**

— კი, მეტოქეს კარგად ვიცნობთ და ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს. ვიცი, რაც შეუძლია დანიას, თუმცა, ცხადია, პლუს-მინუსებზე არაფერს გეტყვით.

**— თბილისში ყველაზე პრობლემატური იყო იონ დალ ტომასონის შეჩერება, რომელმაც ორი გოლითაც გამოიჩინა თავი. მის წინაალმდეგ განსაკუთრებულ ზომებს მიმართავთ?**

— ტომასონის წინაალმდეგ ვითამაშებთ ისე, როგორც უნდა ვითამაშოთ ნებისმიერი თავდამსხმელის წინაალმდეგ.

**— ანუ პერსონალურ მეურვეს არ მიუჩენთ?**

— არავითარ შემთხვევაში. თანამედროვე ფეხბურთში პერსონალურად თითქმის აღარავინ თამაშობს.

**— აქამდეც არაერთხელ გითქვამთ, რომ ნაკრებს მომავალი შესარჩევი ციკლისთვის ამზადებთ. დანიასთან მატჩს რაიმე, ასე ვთქვათ, ლოკალური მიზანი თუ აქვს თქვენთვის?**

— დანიისნაირ მეტოქესთან თამაში საქართველოს ნაკრებისთვის უკვე ბევრს ნიშნავს. მიზნები მაქვს და მათგან უმთავრესი დაცვის ხაზის გამართვაა. ოთხ თამაშში გაშვებული ცამეტი გოლი მეტისმეტად ბევრია და ვეცდები, ეს ნაკლი გამოვასწოროთ. თუ გუნდს საკუთარი კარის უსაფრთხოება უჭირს, მას არაფერი გამოუვა. ჩვენ ყაზახეთთან და უკრაინასთან ოთხკაციანი დაცვა გამოვიყენეთ, მაგრამ მერე სამიანზეც კარგად გადავეწყვეთ — ვფიქრობ, ამ ამხრივ პროგრესი შეიმჩნევა.

**— გამოდის, ექსპერიმენტებს ამ ეტაპზე არ მიმართავთ...**

— ექსპერიმენტების დრო მერეც იქნება, არა მგონია, დანიასთან მატჩი საამისოდ შესაფერისი იყოს. ყველაფერი ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, თორემ ნაჩქარევმა ნაბიჯებმა, შესაძლოა, ცუდი შედეგი მოგვცეს.

**— და ერთიც: ამჯერად რა პოზიციას უმზადებთ მალხაზ ასათიანს?**

— ვერ გეტყვით, რადგან ამან უკრაინასთან მატჩში დაოვური სამსახური გაგვიწია. მთელი მატჩის განმავლობაში ოლეგ ბლოხინის პირველი დავალება თავისი ფეხბურთელების მიმართ ასათიანის დაჭერა იყო — თუ დააკვირდით, მალხაზს მუდამ ორი-სამი კაცი აჯდა ფეხზე, რაც ბლოხინის ტაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

ამის შემდეგ მცირე კომენტარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ***ნოდარ ახალკაცსაც*** ვთხოვეთ: „გუნდში შექმნილი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. დღეს ბიჭებს განტვირთვის საშუალება მივეცით და საერთოდაც, დღის განრიგის შედგენისას მათ აზრსაც ვისმენთ — ფეხბურთელისთვის სტიმულია, ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერას რომ გრძნობს. ვფიქრობ, გუნდური სული მოედანზე კი არა, მოედნის გარეთაც უნდა შეიქმნას და ამაღლდეს. ასე რომ, დღესდღეობით კმაყოფილი ვარ."

გუშინ საღამოს ეროვნულმა ნაკრებმა „ფარუმ პარკის" მოედანზე ივარჯიშა, ისევე, როგორც ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელსაც დღეს უკვე დანიელ 21-წლამდელებთან შეხვედრა ელის — მატჩი თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება შეგახსენებთ, რომ. თამაშის მერე კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი ესტონეთში გაფრინდება, სადაც 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები ელის.



დანიელებში ერთ-ერთი გამორჩეული — თომას გრავესენი



მორტენ ოლსენს და მის გუნდს ქართველების წახდენას სთხოვენ

# ვისაც არ სჯერა, დილომში მიყურ(ო)ს

## სანდრო იაშვილი: თავს დაჩაგრულად ვთვლი



ბადრი კეთილაძის ფოტო

არაორდინარული ფეხბურთელი ყველგან ერთიორად ფასობს და ასე უნდა იყოს საქართველოშიც, მაგრამ საქართველოში ბევრი რამ ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ასეა ფეხბურთშიც.

20 წლის სანდრო იაშვილისთვის ახალგაზრდული ნაკრების კარი ახლა დახურულია. არადა, იაშვილმა ამ სეზონში ევროსარბიელზეც გამოიჩინა თავი — „ბრონდბიუს" სტუმრად ულამაზესი გოლი გაუტანა, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში კი „ამერს", მაგრამ იაშვილი ნაკრებს მიღმაა...

ამ სეზონის დაწყებამდე სანდრო იაშვილი „გლაზგო რეინჯერსში" უნდა წასულიყო, მისი საბუთები ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტში გაიგზავნა, საიდანაც მას ბრიტანეთში მუშაობის უფლება არ მისცეს ნაკრებში ჩატარებული არასაკმარისი რაოდენობის მატჩების გამო და სანდროც ამ სეზონისთვის „თბილისიდან" „დინამაში" დაბრუნდა...



ბადრი კეთილაძის ფოტო

— ბრიტანეთის სამუშაო ვიზის გაკეთება მართლაც ძალიან ძნელი ყოფილა და ამ ეტაპზე ჩემი „რეინჯერსში" გადასვლა გამოირიცხა.

**— ნებისმიერ უცხოურ გუნდში გადასასვლელად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულში თუ არა, ახალგაზრდულ ნაკრებში მაინც ითამაშო...**

— კობა ჟორჟიკაშვილთან ადრე მიმუშავია და მისთვის კარგის მეტი არაფერი მიჩვენებია, ახლა კი არ ვიცი, რა ხდება...

**— ითქვა, რომ ხდება ახალგაზრდულ ნაკრების გაახალგაზრდავება, თუმც გუნდში შენი ტოლებიც თამაშობენ და შენზე უფროსებიც — ამაზე რას იტყოდი?**

— მე ახალგაზრდა ვარ, ოცი წლის და რატომ არ უნდა ვითამაშო ახალგაზრდულ ნაკრებში?! ჩვიდმეტი წლის ფეხბურთელები კი ახალგაზრდულ ნაკრებში ისე ვერ ითამაშებენ, რომ გუნდმა შედეგი აჩვენოს. ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში რომ არ შემეძლოს, იქ არგამოძახებაზე გული არც დამწყდებოდა.

**— „რეინჯერსში" უნდა წასულიყავი და „დინამოში" აღმოჩნდი — წინსვლა ხომ არ შეგიფერხდა?**

— „დინამო" სერიოზული გუნდია და კარგი სავარჯიშო პირობები აქვს — თუ მოინდომებ, ამ „დინამოშიც" ბევრს მიაღწევ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში დიდი ამბიცია მხოლოდ 2-3 გუნდს თუ აქვს ანუ აქ მაღალი დონე არ არის.

**— გასაგებია, მაგრამ ასეთ ჩემპიონატში „დინამოს" რამდენჯერმე დაუცდა ფეხი და ახლა მესამე ადგილზეა...**

— ნელ-ნელა უკეთესად წაგვივა საქმე, მთავარი ფსიქოლოგიური ფაქტორია — „დინამოს" წინააღმდეგ ყველა გუნდი განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს, რაც ზოგადად კარგია, მაგრამ ჩვენ ეს უნდა გავითავისოთ — არავინ არაფერს არ დაგვითმობს.

**— როგორ ფიქრობ, რომელი გუნდები იქნებიან „დინამოს" მთავარი კონკურენტები?**

— კარგი გუნდია „ამერი", „ლოკომოტივი", „ბორჯომიც" უნდა გამოვარჩიოთ, რომლის რამდენიმე ფეხბურთელს დიდი პოტენციალი აქვს.

**— იაშვილი თავით კარგად თამაშობს — ამას ყველა აღიარებს, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ იაშვილი მხოლოდ თავით თამაშობს კარგად...**

— თუ ასე ფიქრობენ, კარგია — ფეხით კარგად თამაშის უფრო მეტი საშუალება მექნება. საერთოდ კი, ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს მხოლოდ თავით შემიძლია კარგად თამაში. მსიამოვნებს, თავით კარგად მოთამაშე ფორვარდად რომ მთვლიან, ასეთი თავდამსხმელი ყველა კარგ ევროპულ გუნდს ჰყავს.

**— ყველაზე უფრო რომელი სათამაშო კომპონენტის დახვეწაზე მუშაობ?**

— რაც შეიძლება, ნაკლები წუნი უნდა მქონდეს გადაცემებში და მეტოქის კარისკენ ზურგით მდგომმა კარგად უნდა დავუგორო ბურთი თანაგუნდელს.

**— ერთმა მწვრთნელმა თქვა, იაშვილმა მაღალ დონეზე რომ ითამაშოს, მის გონებაში უნდა მოხდეს გარდატეხაო...**

— არ ვიცი, რა არ მოსწონთ. გუნდი არასოდეს დამიღალატებია და საკუთარ თავზე ინდივიდუალურადაც ვმუშაობ. ვისაც არ სჯერა, მოვიდეს დილომის ბაზაზე და მიყუროს.

**— „ბრონდბიუს" ეფექტური გოლი გაუტანე, თუმც „დინამო" ადრიანად დაემშვიდობა ევროსარბიელს...**

— „ბრონდბიუ" სერიოზული გუნდია, თუმცა მ ასთან უკეთესადაც შეიძლებოდა თამაში. ჩვენ ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები არ გვყავდა, რომ ასეთ დონეზე წარმატებით გამოვსულიყავით.

**— ახლა ჩვენს ნაკრებებს ელით დანიელებთან მატჩები — რა იყო თვალშისაცემი დანიაში?**

— დანიელები სწორ ფეხბურთს თამაშობენ, გადაცემის გაკეთებისას წამს არ აგვიანებენ, ზოგჯერაც სწრაფად, დროულად კეტავენ და არ არიან დაძაბულები დანიელებს სასწაული გულშემატკივარი ჰყავთ — ორი ტაიმი სულ მღეროდნენ, თავი თეატრში გვეგონებოდა, თამაშის თითქმის ყველა მომენტს დიდი ემოციით ეხმაურებოდნენ, მოკლედ, ძალიან სასიამოვნო სიტუაცია იყო.

**— ახალგაზრდული ნაკრების თემას დავუბრუნდეთ, თითქოს ყველაფერი ბოლომდე არ ითქვა...**

— თავს დაჩაგრულად ვთვლი, ნაკრებში თამაში შემიძლია, მაგრამ არაფრისდიდებით არ მიწვევენ რაც შეეხება ნაკრების გაახალგაზრდავებას, როცა 17 წლის ვიყავი, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ოთხი გოლი გავიტანე, მაგრამ მაშინ არავის მივუწვევივარ სხვა ასაკობრივ თუ ეროვნულ ნაკრებში. ახლა კი რა არ ხდება...

**დავით თავართქილაძე**

# კაშია და ნერგაძე გერმანიაში



შოთა კაშია



გია ნერგაძე

**თბილისის** „დინამოს" ახალგაზრდა მცველი შოთა კაშია ტრავმებმა ძალიან გააწამა. იგი ამჟამად გერმანიაშია, დაბა ბუბლინგენში ჯვარედინი მყესებისა და მენისკის ოპერაცია გაიკეთა. ერთ კვირაში კაშიას რუიტის სარეაბილიტაციო ცენტრში გადაიყვანენ.

ასევე ერთ კვირაში ბუბლინგენში წავა მეორე დინამოელი გია ნერგაძე. ქუთაისის „ტორპედოდან" გადაყვანილმა ნახევარმცველმა „დინამოში" ვერცერთი ოფიციალური მატჩის ჩატარება ვერ მოასწრო, მასაც მენისკის ტრავმა აქვს და გერმანიაში საოპერაციოდ მიდის. ნერგაძემ თავად თქვა, სავარაუდოდ, ახალ წლამდე მინდორზე ვერ გავალო.

ბუბლინგენის სამედიცინო კლინიკაში ბევრ ცნობილ ფეხბურთელს უმკურნალია — მათ შორის, სულ ახლახან ტრავმამიღებულ მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდ დმიტრი სიჩოვს.

**ილია ნანობაშვილი**

## დავით ყიფიანის თასი

**მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები**

გურია 1:3 *ბათუმი* (0:3)

ლიახვი 1:2 *სიონი* (1:6)

*ჩიხურა* 3:1 კახეთი (3:0)

13 სექტემბერი

ზუგდიდი — ზესტაფონი (0:3)

მესხეთი — დილა (3:3)

20 სექტემბერი

მეშაძრე — ამერი (2:1)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



საქართველოს ნაკრებმა სასექტემბრო სტუმრობიდან ყველაზე კარგი შედეგი შარშან თურქეთიდან ჩამოიტანა

# ენ-რ-კენისთვე
## ამ დროს იცის გაჯიქება

**სექტემბერი** საფეხბურთო დუღილის თვეა. ენკენისთვის დადგომისთანავე ევროტურნირები ხურდება, იწყება მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ციკლები. ანუ ეს ის თვეა, ლუწ წლებში ქულების თესვა რომ იწყება, კენტ წლებში კი მოსავალს რომ იღებ.

ქართულ ფეხბურთს სექტემბერში სიხარულიც ბევრი უნახავს და იმედგაცრუებაც. აი, ბოლო წლებია, ჩვენი კლუბები ევროპაში იშვიათადღა აღწევენ შემოდგომამდე, მაგრამ ახლა ნაკრებზე გვინდა ვისაუბროთ.

ქულების თესვა ვახსენეთ და, საქართველოს ნაკრები ნაღდად ვერა ჰგავს იმ მუშას, მოსავლის ასაღებად თავიდანვე რომ უჭირავს თადარიგი.

„ჯვაროსნები" უფრო ყინჩად მაშინ გამოიყურებიან, როცა ყველაფერი დაკარგული და საფუძველჩაუყრელია — სიმარტივისთვის, ქულებს შესარჩევი ციკლის მიწურულს აგროვებენ, ამ დროს კი ფინალური ეტაპის მატარებელი უკვე ჩავლილია ხოლმე.

პირველი სასექტემბრო მატჩი საქართველოს ნაკრებმა 13 წლის წინ ითამაშა და ლიტვასთან ამხანაგურად 0:1 წააგო. ვაი რომ, ოფიციალური ენკენისთვური დებიუტიც სამარცხვინო გამოვიდა და თანაც როგორი: გადაჭედილ ეროვნულ სტადიონზე მოლდოვასთან ძლების დაღუნვის მიუხედავად, სტუმარმა ოპრიამ ერთი ამოსცხო და ამ გოლით წავაგეთ.

და მაინც, თუ რომელიმე თვეა იღბლიანი საქართველოს ნაკრებისთვის, ეს უპირველესად სექტემბერია. გეხსომებათ, 8 წლის წინ იტალიას, ფაქტობრივად, თბილისში დაატოვებინეს ჯგუფში პირველობა და პლეი ოფში გაგზავნეს. სექტემბერში იყო, ქართველებმა მიჯრით ორი (თუმცა არაფრისმომცემი) საშინაო თამაში რომ მოიგეს უნგრეთთან და ლიტვასთან. იღბლიანი იყო შარშანდელი სექტემბერიც — თურქეთში ფრე და ალბანეთის წაქცევა ანუ ოთხქულიანი სტარტი.

რაში დაგვჭირდა ეს სტატისტიკა? ხვალ დანიასთან უძნელესი და ნამეტანი პესიმისტებისთვის წინასწარ წაგებული მატჩია, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე ვთქვით, რომ როცა მოსავალი წალეკილია, საქართველოს ნაკრები სწორედ მაშინ ჯიქდება...

**ილია ნანობაშვილი**

### საქართველოს ნაკრები სექტემბერში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ოფიციალური მატჩები** | | | | |
| 7 სექტემბერი | 1994 | თბილისი | მოლდოვა | 0:1 |
| 6 სექტემბერი | 1995 | ნიურნბერგი | გერმანია | 1:4 |
| 10 სექტემბერი | 1997 | თბილისი | იტალია | 0:0 |
| 24 სექტემბერი | 1997 | კიშინიოვი | მოლდოვა | 1:0 |
| 5 სექტემბერი | 1998 | თბილისი | ალბანეთი | 1:0 |
| 4 სექტემბერი | 1999 | ლიუბლიანა | სლოვენია | 1:2 |
| 8 სექტემბერი | 1999 | თბილისი | ლატვია | 2:2 |
| 1 სექტემბერი | 2001 | თბილისი | უნგრეთი | 3:1 |
| 5 სექტემბერი | 2001 | თბილისი | ლიტვა | 2:0 |
| 7 სექტემბერი | 2002 | ბაზელი | შვეიცარია | 1:4 |
| 6 სექტემბერი | 2003 | ტირანა | ალბანეთი | 1:3 |
| 4 სექტემბერი | 2004 | ტრაპიზონი | თურქეთი | 1:1 |
| 8 სექტემბერი | 2004 | თბილისი | ალბანეთი | 2:0 |
| 3 სექტემბერი | 2005 | თბილისი | უკრაინა | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | | | | |
| 2 სექტემბერი | 1992 | კაუნასი | ლიტვა | 0:1 |
| 17 სექტემბერი | 1992 | გურჯაანი | აზერბაიჯანი | 6:3 |
| 1 სექტემბერი | 1996 | ოსლო | ნორვეგია | 0:1 |
| სულ | | | +7=4-7 | 26:24 |
| ოფიციალურებში | | | +6=4-5 | 20:19 |

# არ მიყიდია, მიშოვნია
## შოვკოვსკიმ ერთი გოლიც დაგვამადლა

საქართველო — უკრაინა უკვე წარსულია. ანდრეი შევჩენკოს სამშობლოში ახლა დიდი ზეიმია. გოგა გახოკიძის ულამაზესმა გოლმა უკრაინელებს მხოლოდ ორი საათით წაუხდინა გუნება. ოლეგ ბლოხინმა და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა კი მატჩამდელი ჭორები კიდევ ერთხელ ახსენეს — ხომ ნახეთ, თამაში არ გვიყიდიაო. ვნახოთ, რას წერს უკრაინული პრესა ქართველებთან ნამატჩევს...



ოლეგ ბლოხინმა თბილისში გვარიანად ინერვიულა

*ოლეგ ბლოხინი* (თბილისის აეროპორტში): ეს ფეხბურთია და ყოველთვის არ გაგიმართლებს. გაგვიმართლა ყაზახეთში, როცა ბოლო წუთზე გავიტანეთ, მაგრამ თბილისში პირიქით დაგვემართა.

ვფიქრობ, მე ჩემი საქმე კარგად გავაკეთე. მოგწყინდება ორი წელი იმის მტკიცება, რომ სულელი არ ხარ და მწვრთნელობა შეგიძლია.

... ვიქტორ იუშჩენკომ და მიხეილ სააკაშვილმა ამ თამაშის შედეგი მოილაპარაკესო — ეს ხომ სისულელეა. რა ვიყიდეთ ან რა გავყიდეთ? თუ ასე სურთ, წერონ. ჟურნალისტებთან საზეიმო სუფრას გავშლით, მაგრამ ეჭვი მეპარება, ზოგიერთი მათგანის ჩემდამი დამოკიდებულება ამან შეცვალოს...

*ანდრეი შევჩენკომ* ნაკრები დროებით დატოვა და მილანში გაემგზავრა, მაინც გასულები ვართ მუნდიალზე და რა აზრი აქვს თურქებთან ჩემ თამაშსო: „ბლოხინი ჩემს გადაწყვეტილებას არ შეწინააღმდეგებია. შესაძლოა, 7 სექტემბერს მაინც ჩამოვიდე და თუ ვერ ვითამაშებ, ბიჭებს მაინც გავამხნევებ. თბილისში ძალიან რთული მატჩი გვქონდა. მეორე ტაიმში შეცდომებს ვუშვებდით და საქართველომ თავისი თამაში დაიჭირა. კახა კალაძესთან კი არც მატჩამდე მილაპარაკია და არც ნამატჩევს."

*კახა კალაძე:* უკრაინის ნაკრებში ბევრი ჩემი მეგობარია და გულის სიღრმეში კიდეც მწყინს, რომ ვერ მოიგეს. მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ მინდორზე ბრძოლაა საჭირო. საქართველომ ბოლო ორ თამაშში 4 ქულა შეიმატა და ახლა ვეცდებით, კარგ ნოტაზე დავასრულოთ შესარჩევი ციკლი.

*ალექსანდრ შოვკოვსკი:* გახოკიძის დარტყმულის აღება შემეძლო, მაგრამ მოძრაობა წამის მეათედით დავაგვიანე. მთლიანობაში საქართველომ კარგად ითამაშა, თუმცა მათთვის მიღწევა უნდა იყოს ჩვენთან მოპოვებული ქულა.

*გრიგორი სურკისი:* ცარიელმა ტრიბუნებმა თამაშს პეწი დაუკარგა. ვფიქრობ, ამან მარტო მასპინძლებზე კი არა, ჩვენებზეც იმოქმედა. მინდორიც არ იყო იდეალური, ფეხბურთელებს ტექნიკური თამაში გაუჭირდათ. მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა და საბოლოოდ თამაში დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო.

... ახლა მატჩისწინა უსიამოვნო საუბრებსაც შევეხები: უამრავი ადამიანი მეკითხებოდა, ქართველები მართლა დაგვეხმარებიანო? თავადაც ხომ ნახეთ, მოგებისთვის ყველაფერი გავიღეთ. სხვათა შორის, ასითივე ჭორები გაავრცელეს ლატვია-რუსეთის მატჩის შემდეგ, მაგრამ რა, კულუარებში „კარგად ჩახედულმა" ხალხმა ვერაფერის მიაღწია.

**ლუკა თალაკვაძე**



გრიგორი სურკისი

# ბორჯომი ოქტომბრელია
## ქართლელები საკუთარ ხელოვნურზე ითამაშებენ



სოსო ფრუიძე

**უმაღლესი** ლიგის დებიუტანტი „ბორჯომი" ოქტომბრიდან თბილისის „ოლიმპის" სტადიონს დატოვებს და საკუთარ ქალაქში გადაბარგდება. გუნდის თავკაცმა სოსო ფრუიძემ გვითხრა, სავარაუდოდ, ბორჯომში პირველ საშინაო მატჩს 1 ოქტომბერს „ცხინვალთან" გავმართავთო.

„ხელოვნურსაფარიანი მინდორი გვექნება. საფარი უკვე შემოსულია და უახლოეს დღეებში განაბაუებენ. რაც შეეხება ტრიბუნებს, ისინი ჯერ ერთ მხარესაა" — გვამცნო სოსო ფრუიძემ.

და კიდევ: „ბორჯომმა" სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი ფეხბურთელი დაიმატა — 18 წლის ნოდარ მაჭავარიანი, რომელიც ადრე თბილისის „ლოკომოტივის" დუბლებში თამაშობდა. მაჭავარიანმა გუშინწინ სათასო შეხვედრაშიც ითამაშა „მერანთან".

**ილია ნანობაშვილი**

# ქლენტმა და კალაძემ დესნაზე ისეირნეს

**ორმა** ახალგაზრდა ქართველმა — 20 წლის მცველმა ანზორ კალაძემ და 18 წლის ნახევარმცველმა ბექა ქლენტმა მოსკოვის „ტორპედოს" მაისურით პირველად ითამაშეს. ჩვენიანთა გუნდმა ამხანაგურად მოუგო რუსეთის ქვედალიგელ „ნარა-დესნას" — 4:0.

ქლენტი ძირითადში იყო და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, ხოლო კალაძე 62-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე. ორივე ქართველი ახლახან გადავიდა „ტორპედოში" და შესაძლოა, მათ პრემიერლიგის მატჩებში ძირითადში ადგილი ჯერ ვერ მოიპოვონ.

აქვე ვთქვათ: ქლენტს 47, ხოლო კალაძეს 45-ნომრიანი მაისურები ერგოთ.

**ლუკა თალაკვაძე**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ჩილელთა ვაი და ვივა ურუგვაი





ბრაზილიელებს ჩილესთან მატჩში ლაღობა არ აკლდათ

**XVI ტური**

**ბრაზილია 5:0 ჩილე**

1:0 ჟუანი (11), 2:0 რობინიო (21), 3:0, 4:0, 5:0 ადრიანო (26, 29, 90)

**ურუგვაი 3:2 კოლუმბია**

1:0, 2:0 ზალაიეტა (42, 50), 2:1 სოტო (78), 2:2 ანხელი (81), 3:2 ზალაიეტა (85)

გაძევება: სოსა (87, ურუგვაი)

**პირთამდე სავსე** „მანე გარინჩაზე" ბრაზილიამ მორიგი ბრწყინვალე სპექტაკლი დადგა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ოფიციალურად გაინაღდა ადგილი 2006 წლის მუნდიალზე. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ჩილეს კარი ხუთგზის დალაშქრეს და ყოველგვარი პრობლემების გარეშე დამაჯერებლად იმარჯვეს.

ოთხი ნომინალური ფორვარდით მოთამაშე მასპინძლებმა სტუმრები პირველივე წუთებიდან გამოკეტეს თავიანთ ნახევარზე და 21-ე წუთისთვის ფაქტობრივად უკვე ყველაფერი დასრულებული იყო. მე-11-ზე პენტაკამპეონები ჟუანმა თავური დარტყმით დააწინაურა, ათი წუთის შემდეგ კი რობინიომაც იხეირა. ცხადია, მასპინძლები ამაზე არ შეჩერდებოდნენ და მალევე შეუჩერებელმა ადრიანომ სამწუთიან მონაკვეთში დუბლი გაიფორმა, რის მერეც შეხვედრამ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. მთავარი ის იყო, რა ანგარიშით მოიგებდა ბრაზილია, ხოლო ქომაგები ნელ-ნელა საზეიმოდ ემზადებოდნენ.

ბრაზილიას კი თავი აღარ მოუკლავს, დარჩენილ წუთებში თამაშით ისიამოვნა, ბოლოს ადრიანომ მეხუთე გოლიც ჩაჭედა ჩილელთა კარში და საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა.

ვთქვათ ისიც, რომ ნაკრებში დაბრუნებული რონალდო არ ბრწყინავდა, მაგრამ ცუდადაც არ უთამაშია. მეორე ნახევარში იგი რიკარდინიომ შეცვალა. სამაგიეროდ, ჩინებულად თამაშობდნენ ადრიანო და რობინიო.

„ძალიან გვიხარია, რომ გერმანიის საგზური ოფიციალურად გავიფორმეთ. უშუალოდ თამაშითაც კმაყოფილი ვარ. პირველ ტაიმში ყველაფერი კარგად გამოგვივიდა, მაგრამ კიდევ ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი, რაც მუნდიალამდე უნდა მოვასწროთ. ასე რომ, საქმის ძირითადი ნაწილი სწორედ ახლა იწყება" — აღნიშნა ბრაზილიელთა თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ.

მისი კოლეგა ნელსონ აკოსტა კი ძალიან გაბრაზებული გახლდათ: „ამ მატჩმა ზუსტად გვაჩვენა, თუ სად არის ჩვენი ადგილი. მეტოქეს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ. კარგად უნდა დავფიქრდეთ, რა გვინდა და ცვლილებები მოვახდინოთ, თორემ ასე ვერაფერს მივაღწევთ."

მონტევიდეოში კი ურუგვაიმ და კოლუმბიამ ერთმანეთის არაფერი დაუთმეს და ეს გასაკვირი არც იყო, მატჩს ორივე გუნდისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საბოლოოდ უფრო მეტად ურუგვაის გაუმართლა და „სელესტებმაც" მარსელო ზალაიეტას წყალობით სამი ქულა მიითვალეს. ახლა ორივე ეს გუნდი რეალურად მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებს ჩილესთან და ვენესუელასთან ერთად, რადგანაც პირველი ოთხეულის ვინაობა ფაქტობრივად გარკვეულია. და მაინც, მოვლენებს წინ მაინც ნუ გავუსწრებთ.

ურუგვაელებს ქომაგებიც გვარიანად დაეხმარნენ. ლეგენდარული „სენტენარიო" გადაჭედილი იყო და პირველივე წუთებიდან ხმაურობდა. „სელესტებმაც" თამამად დაიწყეს — ჯერ დიეგო ფორლანმა მეტოქის კარის ხარიხა შეაზანზარა, მერე კი გუსტავო ვარელას თავური დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს.

კოლუმბიელებმა ნელ-ნელა გამოიღვიძეს და რაღაც დროით უპირატესობასაც დაეუფლნენ. მათ ათწუთიან მონაკვეთში რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ ამაოდ. ორჯერ მასპინძლები გოლკიპერმა ფაბიან კარინიმ იხსნა. შესვენებამდე სამი წუთით ადრე კი გოლი ურუგვაიმ გაიტანა — რვათვიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნებულმა ალვარო რეკობამ ფლანგიდან ბურთი შორეულ ძელთან ჩაკიდა, სადაც მარსელო ზალაიეტა იყო და...

მეორე ტაიმი სულ ახალი დაწყებული გახლდათ, როდესაც „იუვენტუსის" ფორვარდმა თავი კიდევ ერთხელ გამოიჩინა — მან ფორლანის პასი შეირგო და ბურთი მიშელ კალეროს კარის მაღალ კუთხეში ჩაჭედა.

ურუგვაიმ ინერციით შეტევა განაგრძო, მაგრამ გოლი ველარ გაიტანა და ტემპს ნელ-ნელა უკლო, რისთვისაც ელვინ სოტომ და ხუან პაბლო ანხელმა სამწუთიან მონაკვეთში დასაჯეს. ჯერ ანხელის პასის მერე სოტომ გაიტანა მშვენიერი შორეული დარტყმით, შემდეგ კი თავად გაუწია ასისტენტობა „ასტონ ვილას" ფორვარდს და „სენტენარიოზე" შეკრებილი ქომაგებს ელდა ეცათ, მაგრამ ურუგვაელმა ფეხბურთელებმა მაინც მოახერხეს გონს მოსვლა და 85-ე წუთზე ფაბიან ესტოიანოფის კროსს ზალაიეტას ისევ შედეგიანად დაუხვდა..

87-ე წუთზე შეცვლაზე შესული მარსელო სოსა მორენოსთან უხეშობისთვის მინდვრიდან გააგდეს, მაგრამ დარჩენილ წუთებში ანგარიშის შენარჩუნება ურუგვაის არ გასჭირვებია და ეს სანახაობრივი თუ დაძაბულობის თვალსაზრისით ჩინებული მატჩიც „სელესტების" სასარგებლოდ დასრულდა.

„მართლაც შეგვეშინდა, როდესაც სამ წუთში ორი ბურთი გავუშვით, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენსას მაინც მივაღწიეთ. ახლა მხოლოდ ეკვადორთან და არგენტინასთან მატჩებზე უნდა ვიფიქროთ. მარსელო ზალაიეტა კი უბრალოდ ბრწყინვალე იყო" — განაცხადა ურუგვაის თავკაცმა ხორხე ფოსატიმ.

„ძალიან მტკივნეული იყო ამ მატჩის წაგება და გული დაგვწყდა. ახლა ჩილესთან საშინაო შეხვედრა აუცილებლად უნდა მოვიგოთ და პარაგვაისთან სათამაშოდ მოვემზადოთ" — ეს კი კოლუმბიელთა მთავარი მწვრთნელის რეინალდო რუედას სიტყვებია.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **არგენტინა** | 16 | 9 | 4 | 3 | 27:16 | 31 |
| **ბრაზილია** | 16 | 8 | 6 | 2 | 31:16 | 30 |
| ეკვადორი | 16 | 8 | 2 | 6 | 23:19 | 26 |
| პარაგვაი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:22 | 25 |
| ურუგვაი | 16 | 5 | 6 | 5 | 22:28 | 21 |
| კოლუმბია | 16 | 5 | 5 | 6 | 22:15 | 20 |
| ჩილე | 16 | 5 | 5 | 6 | 17:21 | 20 |
| ვენესუელა | 16 | 5 | 3 | 8 | 20:24 | 18 |
| პერუ | 16 | 3 | 6 | 7 | 16:25 | 15 |
| ბოლივია | 16 | 4 | 1 | 11 | 18:32 | 13 |

**გიორგი ძაძაძაძე**



მარსელო ზალაიეტამ კოლუმბია დაამარცხა



# რეალი სისინიოზე

**სისინიოს ტრანსფერი** „სან პაულუდან" მადრიდის „რეალში" გადაწყვეტილია. კლუბები მორიგდნენ, ბრაზილიის ნაკრების მცველი კი ესპანეთში 2006-ის დასაწყისში ჩავა. „უკვე „რეალზე" ვფიქრობ და მახარია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ფეხბურთელი გავხდები მას შემდეგ, რაც იანვარში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე „სან პაულუში" ვითამაშებ" — განაცხადა სისინიომ.

მადრიდელებმა ზაფხულში ურუგვაელი მარცხენა მცველი კარლოს დიეგო შეიძინეს. „რეალს" ამავე პოზიციაზე მიჩელ სალგადოც ჰყავს, ოღონდ ის შეიძლება „იუვენტუსში" წავიდეს. ასე რომ, დიდი კონკურენციაა, რაც სისინიოს არ აშინებს: „ყველას პატივს ვცემ, მაგრამ ძირითადში მოსახვედრად ისევე ვიბრძოლებ, როგორც ნაკრებში, სადაც ჩემი კონკურენტი კაფუა".

**მაშა ხუციშვილი**

# ლაციომ მეგოლე გაიხანგრძლივა



**ტომაზო როკიმ**, ვინც, შეგახსენებთ, რომის „ლაციოს" ფორვარდია, კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა. როკი „ლაციოში" 2004 წელს გადავიდა „ემპოლიდან", საინტერესო კი ის არის, რომ ფეხბურთელი ამ ორივე კლუბის საერთო საკუთრებად ითვლება.

— „ლაციოსთან" კონტრაქტის განახლება სწორედ ის არის, რაც მინდოდა — თქვა ხელის მოწერის მერე როკიმ — კლუბში დარჩენითაც კმაყოფილი ვარ და შემოთავაზებული პირობებითაც. ხოლო ის გარემოება, რომ „ლაციომ" ჩემს შესანარჩუნებლად იბრძოლა, სიამაყით მავსებს.

დავძენთ, რომ წინა სეზონში ტომაზო როკი რომაულ კლუბს 11 გოლით შეეწია, რაც მასთან კონტრაქტის გაგრძელების საბაბს ნამდვილად იძლეოდა.

**ირაკლი ნინიძე**

# იტალია ყმაწვილებს დაერია



ალბერტო ჯილარდინო

**ბელარუსთან** შესარჩევი მატჩისთვის იტალიის ნაკრები ასე მოემზადა: „მოზრუელის" ყმაწვილთა გუნდს 7:1 მოუგო. ამ შეხვედრაში მარჩელო ლიპიმ ათამაშა ის ფეხბურთელები, რომელთაც შაბათს შოტლანდიასთან 1:1 დამთავრებულ შეხვედრაში მინდორზე გასვლა არ მოუწიათ. ლიპის განლაგება ყმაწვილებთან შეხვედრაში 4-4-2 გახლდათ. ალესანდრო დელ პიერო გარემარბად იყო გამწესებული, მის გარდა კი ლუკა ტონი და ალბერტო ჯილარდინო არბევდნენ მეტოქის კარს.

„ფიორენტინას" ფორვარდმა ჰეთ-თრიკი შეასრულა, ჯილარდინომ და „კალიარის" მაურო ესპოზიტომ კი ორ-ორი გაიტანეს.

როგორც იტალიელი მიმომხილველები ამბობენ, ეს სისტემა სრულიად შესაძლებელია მწვრთნელმა ბელარუსებთან შეხვედრაშიც გამოიყენოს, თუმცა თავდასხმის სამეულის ერთ-ერთი წევრი, ალბათ ფრანჩესკო ტოტი იქნება.

„დღეს კისერში ნორვეგიელთა სუნთქვას ვგრძნობთ და ამიტომ ბელარუსებს რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მოვუგოთ, — თქვა შოტლანდიაში გატანილი იტალიური გოლის ავტორმა ფაბიო გროსომ.

ალესანდრო დელ პიერო: „ვერ გეტყვით ოთხშაბათს მათამაშებენ თუ არა, რადგან ლიპის ჯერ შემადგენლობის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ მინდა ერთში დაგარწმუნოთ: ვარ თუ არა მოედანზე, იტალიის წარმატება ძალიან მახარებს. ერთი სიტყვით, შემადგენლობაში მოხვედრა-არმოხვედრის გამო პრობლემას არ შევქმნი"

მარჩელო ლიპიმ კი თავის მხრივ პრესას განუმარტა რატომ არ ათამაშა ალბერტო ჯილარდინო შოტლანდიელების წინააღმდეგ. მოგეხსენებათ შაბათის შემდეგ იტალიურ მას-მედიაში ამ თემის დიდი გარჩევა მიმდინარეობდა და საბოლოოდ მწვრთნელს არჩევანი დაუწუნეს.

„ჩემი გადაწყვეტილება ვარჯიშებზე შექმნილ შთაბეჭდილებას ეყრდნობოდა, — თქვა ლიპიმ, — იმ დღეებში ჯილარდინო ჩვეულებრივად მწვავე არ ჩანდა. რაც შეეხება იმას, როგორ შეხვდა სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის ამბავს, მინდა გითხრათ, რომ მგონი მადლობელიც დარჩა".

შემდეგ ტაქტიკოსმა განაგრძო: „ჩემი აზრით, შოტლანდიასთან ნაბიჯი წინ გადავდგით. მე ვნახე პოზიტიური ფეხბურთის მოთამაშე გუნდი და ამ ყველაფრის ფონზე კენი მილერის მიერ ჩვენ კარში გატანილმა გოლმა გამაკვირვა. მთელი მატჩის განმავლობაში 20-დან 35-ე წუთამდე იყო პერიოდი, როდესაც თამაში ჩაგვივარდა, მაგრამ ამის შემდეგ გვეყო სიმხნევე და მდგომარეობა გამოვასწორეთ. ვფიქრობ ფრით შოტლანდია კმაყოფილი უნდა იყოს".

**ბაპუნა ძიძია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალესანდრო დელ პიერო ტყუილად არაფერს ითხოვს

# ახალი მანქანა დელ პიეროსთვის

**მადრიდის** „რეალის" ცნობილი მარჯვენა მცველი და კლუბის ყოფილი პრეზიდენტის, ახლა იტალიური „პარმას" მფლობელის ლორენსო სანსის სიძე, მიჩელ სალგადო იანვრიდან „იუვენტუსში" ითამაშებს. უნდა აღინიშნოს, რომ სალგადოსა და „რეალის" ამბავზე კულუარებში ადრეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ მოლაპარაკება ნახევარწლიან სახეს თუ მიიღებდა, არავის ეგონა.

„მადრიდელებმა ჩემი თავი „იუვენტუსს" ექვსი თვით შესთავაზეს, — თქვა თავად სალგადომ, — კლუბის დირექტორებმა მითხრეს, რომ მხარეებმა ასეთი გამოსავალი მოიფიქრეს და უნდა გითხრათ, რომ მე ამით ძალიან გახარებული გახლავართ"

ასე და ამგვარად მცველი, რომელსაც „რეალთან" 2009 წლამდე აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, იჯარის წესით გადავა „სტადიო დელე ალპიზე". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სალგადოს ამბავი „რეალმა" ევროტრანსფერების ბოლო დღემდე არ გაახმაურა, რადგან დარწმუნება უნდოდა, რომ იანვრიდან მის შემცვლელად ბრაზილიელი სისინიო აჰყავდა.

როგორც იტალიური წყაროებიდან ხდება ცნობილი სალგადოს „რეალში" მისვლას მიესალმება „იუვენტუსის" მწვრთნელი ფაბიო კაპელო, რომელსაც ყველა სიკეთესთან ერთად, ჯონათან ძებინას შემცვლელი თუ კონკურენტი სჭირდება.

და, რაკიღა „იუვენტუსზე" ვლაპარაკობთ, ერთ დროს მისი სახის, ალესანდრო დელ პიეროს შესახებაც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ პინტურიჩოდ წოდებულმა ფაბიო კაპელოს ხელში ოცჯერ შეცვლას ხმის ამოუღებლად გაუძლო.

„წარსული დამსახურებების გამო ძირითადში გარანტირებულ ყოფნას არ ვითხოვ, მაგრამ პატივისცემით მოპყრობა ნამდვილად მეკუთვნის, — განაცხადა მოთამაშემ, რომელიც, როგორც ჩანს, 30 წლისა კარიერის გზისგასაყართან დგას.

საინტერესოა, რომ „იუვენტუსის" ერთ-ერთმა მთავარმა მეწილემ და კორპორაცია „ფიატის" პრეზიდენტმა ლუკა კორდერო დი მონტეცემოლომ ამასწინათ განაცხადა, რომ მისი კორპორაციის ახალი მოდელთა სარეკლამო სახედ ანტონიო კასანოს აღიქვამს, რადგან „რომას" ფორვარდი უფრო „ტიპია". ამაზე ალესანდრო დელ პიერომ განაცხადა:

„ეს იმას ნიშნავს, რომ მე მომავალში ახალ მანქანაში გადავჯდები"

შეგახსენებთ, ახალდასრულებული სატრანსფერო სეზონის იტალიური ლაიტმოტივი სწორედ კასანოს „იუვენტუსში" გადასვლა-არგადასვლა გახლდათ.

**ბაპუნა ძიძია**



მიჩელ სალგადო ნახევარწლით გუნდს გამოიცვლის

# კონტრაქტის გამო



ანტონიო კასანო



ლუჩანო სპალეტი

# რომამ კასანოს თაფლი აჭამა

**რაკი** ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, ანტონიო კასანო კი სხვა გუნდს აგვისტოს ბოლო დღემდე ვერ შეუთანხმდა, შესაბამისად, „რომას" ფორვარდი დედაქალაქურ კლუბში სულ მცირე იანვრამდე დარჩება.

იანვრამდე დარჩენილი დრო კი ძალიან მალე გაირბენს და საკითხავია, რა იქნება მერე?

ისტორიას მოკლედ შეგახსენებთ: კასანოს „რომასან" მოქმედი კონტრაქტი 2006 წლის ივნისში ეწურება და ბუნებრივია, კლუბმა ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე აქედანვე დაიჭირა თადარიგი — მრავალმილიონიანი ფეხბურთელი გაისად უფასოდ რომ არ გაქცეოდა. მაგრამ შეთანხმება ვერ შედგა, რაკი კასანომ „რომაში" დარჩენის სანაცვლოდ მეტისმეტად დიდი ფული მოითხოვა — იმდენად დიდი, რომ ითქვა, ამ ბიჭს „რომადან" აბარგება სურს და საბაბს ეძებსო. მერე კასანოთი „იუვენტუსის" დაინტერესება გამოიკვეთა, მაგრამ ამ შემთხვევაში კლუბები ვერ მორიგდნენ. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ კასანო სკამზე დასვა — რაკი არ გინდივართ, არც გათამაშებო.

ახლა საქმე ასეა: კასანოს უქმობა „რომამ" მეტისმეტ ფუფუნებად ჩათვალა და ურთიერთობის დათბობისკენ ნაბიჯი გადადგა. სპალეტიმ თქვა: ყველაფერი კასანოზეა დამოკიდებული. თუ მოინდომებს, შეუძლია ისევ იმ კასანოდ იქცეს, ჩვენს გულშემატკივარს აგრერიგ რომ უყვარდა.

საინტერესოა, რომ „რომას" ვარჯიშებს, „ტრიგორიას" საწვრთნელ ბაზაზე, მუდამ ესწრება სამი ათასამდე გულშემატკივარი და კასანოს ყოველ ეფექტურ ილეთზე ტაშისცემას მოჰყვებიან ხოლმე.

სპალეტიმ კი დასძინა: „ის უაღრესად გულმოდგინედ ვარჯიშობს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პროფესიონალიზმს. ვერ გეტყვით, როგორ დასრულდება კონტრაქტის განახლებასთან დაკავშირებული ისტორია, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ კასანო ჩვენ გვჭირდება და მოედანზეც ნახავთ".

ერთი სიტყვით, „რომა" კასანოს მოთაფლვის იმედს არ კარგავს.

**ძოტე ძეძელია**

# გელით, კოლინა სან



**იაპონური** ჯეი ლიგის ბოსები ცდილობენ ცნობილი იტალიელი მსაჯი პიერლუიჯი კოლინა გადაიბირონ. მოგეხსენებათ, კოლინას სამშობლოში მდგომარეობა გაურთულდა. ვინაიდან მას, როგორც პოპულარულ პიროვნებას „ოპელთან“ ინდივიდუალური კონტრაქტი აქვს გაფორმებული და იმავდროულად, იმავე ფირმასთან თანამშრომლობს „მილანიც“, მსაჯს უთხრეს, რომ ეს ერთგვარ უხერხულობას იწვევს, რის გამოც მას სერია A-დან წასვლა მოუხდა. არადა, შეგახსენებთ, რომ კოლინა 45 წლისაა და წესით ისედაც უნდა დაენებებინა მსაჯობისთვის თავი, მაგრამ მისთვის საგანგებოდ დაუშვეს გამონაკლისი და ერთი წლით დაუმატეს საყვარელი საქმის კეთების უფლება.

„საერთოდ, ჯეი ლიგის მსაჯთა დონე დაბალი არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ ხშირად აკრიტიკებენ. თუ ბატონი კოლინა ინებებს, ჩვენი ქომაგები უფრო კარგად გაიგებენ რას ნიშნავს არბიტრის ავტორიტეტი“ — განაცხადა იაპონური ლიგის ბოსმა მასარუ სუძუკიმ.

შეგახსენებთ, რომ კოლინას ინგლისური პრემიერლიგაც იწვევს.

**პაპუნა ძედია**

# საჭმელად ლიონში



**„ჩელსიდან“** „ლიონში“ გადასულმა ტიაგო მენდეშმა თქვა, ფრანგული კლუბი იმიტომ ვარჩიე, რომ აქაური კერძები მომწონსო.

„პორტუგალიას“ და საფრანგეთს ბევრი აქვთ საერთო — განაცხადა ტიაგომ — მაგრამ ლიონში საჭმელებს უკეთესად ამზადებენ. პედრო პაულეტას ჩემთვის ამის შესახებ ბევრჯერ უთქვამს. რაც შეეხება ფეხბურთს, „ჩელსიში“ ვისწავლე, თუ როგორ უნდა მოიგო ყველა მატჩი და როგორ ითამაშო სწრაფ ტემპში მთელი შეხვედრის განმავლობაში. ინგლისში სამი ჯილდო მოვიპოვე და „ჩელსის“ ყოველთვის კარგად გავიხსენებ. იქ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან ძნელი იყო. „ლიონშიც“ ალბათ ასე იქნება, მაგრამ მზად ვარ შეჯიბრებისთვის“.

**გაგა ხუციშვილი**

# მანიშეს გაჭირვება

**ეროვნული გუნდის** შეკრებაზე მყოფმა მანიშე რიბეირუმ ჟურნალისტებთან დაიჩივლა, რუსეთს ვერ შევეგუეო.

პორტუგალიელი ნახევარმცველი მოსკოვის „დინამოში“ „პორტუდან“ ამ ზაფხულს 20 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა, რვა მატჩი ითამაშა და სამი ყვითელი ბარათი „მოაგროვა“.



„ჩემი ოჯახისთვის რუსეთში ცხოვრება უბედურებაა. არ მომწონს ქვეყანა, ჩემპიონატი და კლიმატი. უკვე ვაცნობე აგენტს, რომ აქაურობით უკმაყოფილო ვარ. ახლა „დინამოს“ პატრონს უნდა შევხვდე და ვთხოვო, გუნდიდან გამიშვას. ვერ ვიტყვი, რომ ვნანობ მოსკოვში გადასვლას, რადგან „დინამოში“ მეტი ჯამაგირი მაქვს, ვიდრე „პორტუში“ მქონდა, მაგრამ ფული მთავარი არაა“ — თქვა მანიშემ.

**გაგა ხუციშვილი**

# კლინსმანს კარი უჭრიალებს

**ფრანც ბეკენბაუერის** აზრით, იურგენ კლინსმანმა კანლემანის ხშირი ცვლით გადაამლაშა. ბუნდესმწვრთნელმა მეკარეებს სათამაშო გრაფიკი დაუწესა, „კაიზერ ფრანცი“ კი თვლის, რომ ეს ფაქტი ნაკრების განწყობაზე ცუდად მოქმედებს. თან ლემანმა ხელახლა წამოიწყო „ომი“ კანის წინააღმდეგ. არსენალელს უთქვამს, დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ძირითად შემადგენლობაში მე ვიქნებიო. არადა, კლინსმანმა განაცხადა, მთავარმეგოლეს 2006 წლის მაისში დავასახელებო.

სლოვაკეთთან წაგებული ამხანაგური მატჩისთვის მწვრთნელმა ოლივერ კანი არ გამოიძახა. „გავოგნდი, როცა შევიტყვე, რომ კანს სასლოვაკეთოდ არ უხმეს“ — თქვა ფრანც ბეკენბაუერმა. კლინსმანის აზირება ჩემთვის გაუგებარია. მას შემდეგ, რაც მეკარეებს მორიგეობა დაუწესა, კანის ან ლემანის თამაში არ გაუმჯობესებულა“.

კლინსმანს „მოხვდა“ ცნობილ გერმანულ გაზეთ „ბილდისგანაც“, რომლის ორშაბათის ნომერშიც ვკითხულობთ: „გაგვიმართლა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირდაპირ გავედით, თორემ... ნაკრებს არც დაცვა ყავს, არც გოლეადორი — მხოლოდ უამრავი საშუალო დონის მოთამაშე.

**გაგა ხუციშვილი**




ფრანც ბეკენბაუერი

## მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე გასული ნაკრებები

### ევროპა

უკრაინა (მე-2 ჯგუფი), გერმანია (მასპინძელი).
დანარჩენი 7 ჯგუფის გამარჯვებული ნაკრებები და ასევე ორი საუკეთესო მეორეადგილოსნები ავტომატურად მოხვდებიან მუნდიალის ფინალურ ეტაპზე. დანარჩენი 6 მეორეადგილოსანი ნოემბერში კიდევ 3 საგზურს გაითამაშებს.

### აზია

იაპონია, სამხრეთ კორეა, ირანი, საუდის არაბეთი
უზბეკეთსა და ბაჰრეინს შორის გამარჯვებული კი ჩრდილოეთ ამერიკის ზონაში მეოთხე ადგილზე გასულ ნაკრებთან გაარკვევს გერმანიაში ნამსვლელის ვინაობას. უზბეკეთმა პირველი მატჩი 1:0 მოიგო, ხოლო ოთხშაბათს ბაჰრეინს ეწვევა.

### სამხრეთ ამერიკა, კონმებოლი

ბრაზილია, არგენტინა
კიდევ ორი საგზურის მფლობელი ბოლო ორ ტურში გაირკვევა. ბოლო მე-5 ადგილზე გასული გუნდი მუნდიალზე მოსახვედრად ოკეანეთის პლეი ოფში გამარჯვებულს გაეჯიბრება, რომელიც სავარუდოდ ავსტრალია იქნება. ოზებმა სოლომონის კუნძულები შინ 7:0 გაანადგურეს. საპასუხო მატჩი ოთხშაბათს გაიმართება.

### ჩრდილოეთ ამერიკა, კონკაკაფი

აშშ
კიდევ ორი საგზურის მფლობელი ექვსნაკრებიანი ფინალური ჯგუფის დასრულების მერე გაირკვევა. ამერიკელებმა სამეულში ადგილი უკვე გაინაღდეს. მეოთხე ადგილზე გასული ნაკრები კი აზიის პლეი ოფში გამარჯვებულს შეერკინება.

### აფრიკა

ხუთივე ჯგუფის გამარჯვებული ავტომატურად მოხვდება მუნდიალზე. ჯერჯერობით საგზური არც ერთ ნაკრებს არ გაუნაღდებია. ყველაფერი მომავალ თვეში გაირკვევა.

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი II ტური

**კასტელონი 0:1 ნუმანსია**
0:1 ხ. ნავასი (70)

**ფეროლი 1:2 ლევანტე**
0:1 რიგა (28), 1:1 კარლოსი (31), 1:2 კურტისი (41)

**უელვა 3:1 ტენერიფე**
1:0, 2:0 როსუ (18, 19), 2:1 კრისტო (65), 3:1 როსუ (67)

**ალმერია 3:0 ხერესი**
1:0 ფრანსისკო (54), 2:0 მიჩელი (61), 3:0 კრუსატი (86)

**ხიმნასტიკი 0:4 სპორტინგი**
0:1 ალვარესი (1), 0:2 მიჩელი (4), 0:3 კალანდრია (79), 0:4 დორადო (90)

**მალაგა B 0:1 სიუდადი**
0:1 ესპადასი (65)

**პოლი ეხიდო 2:1 ლეიდა**
0:1 რუბენი (10), 1:1 კალადო (83), 2:1 ტოედტლი (90)

**ელჩე 1:3 ლორკა**
0:1 მორო (50), 0:2 პერონა (81), 0:3 გორკა (89), 1:3 რუბენი (90)

**რეალი B 3:0 ჰერკულესი**
1:0 სოლდადო (3), 2:0 ტორტოლერო (38ს.კ.), 3:0 ვალერო (90)

**ალბასეტე 2:3 ვალიადოლიდი**
1:0 პარი (7), 1:1 ადურისი (143), 1:2 ვექტორი (343), 1:3 კურბელო (60), 2:3 პაჩეკო (80)

**მურსია 1:0 ეიბარი**
1:0 ფაგოაგა (39ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ნუმანსია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სიუდად მურსია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ლევანტე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ვალიადოლიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ლორკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| რეალ B | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| უელვა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ტენერიფე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ალმერია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლეიდა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მურსია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ელჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| პოლი ეხიდო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ხერესი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ფეროლი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მალაგა B | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ერკულესი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ეიბარი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| კასტელონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ალბასეტე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ხიმნასტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

## არგენტინა

### აპერტურა. IV ტური

**ბოკა ხუნიორსი 0:0 არსენალი**
**ინსტიტუტო 0:0 ესტუდიანტესი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 8 |
| როსარიო | 4 | 2 | 2 | 0 | 10:5 | 8 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| კილმესი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| ბანფილდი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 |
| სან ლორენსო | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| არგ. ხუნიორსი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| რასინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| რივერ პლეიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ველეს სარსფილდი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:4 | 6 |
| ოლიმპო | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| ესტუდიანტესი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ხიმნასია დე ხუხუი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ოლდ ბოისი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ხიმნასია ლა პლატა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:8 | 4 |
| კოლონი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 3 |
| არსენალი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| ლანუსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:10 | 2 |
| ინსტიტუტო | 4 | 0 | 2 | 2 | 0:6 | 2 |
| ტირო ფედერალი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:9 | 0 |

# მარცხნისაკენ!

## კაცი, რომელსაც საკუთარი სისულელეების ეშინია

**უილიამ გალასის თავს ძალიან უცნაური ამბავი ტრიალებს — ადამიანი ნიჭით, აღზრდით და თვისებებით შუა მცველია, მწვრთნელები კი დამდგარან და დაცვის მარცხენა ფრთაზე ათამაშებენ. არაფერი არ ჭრის, არც ახსნა, არც თხოვნა. მეტიც, საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა რაიმონ დომენეკმა ამასწინდელ ინტერვიუში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველი უწოდა... თუმცა კლუბში, „ჩელსიში" შედარებით უკეთ აქვს საქმე: ჟოზე მაურინიუმ დაუჯერა, ცეტრში გადაწია და გალასის ჯონ ტერისთან შემეგობრებით კარგი შედეგი მიიღო. გთავაზობთ ფრანგი ჟურნალისტის ლორან ლაკრუასა და „მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველის" საუბრის ქართულ თარგმანს**



უილიამ გალასი (შუაში) ოთხშაბათს მოუთმენლად ელის

**— საფრანგეთის ნაკრებს ოთხშაბათს დუბლინში დიდი მატჩი ელის. რას გრძნობთ ამ მატჩის წინ?**

— ვგძნობ, რომ ჩინებულ ფორმაში ვარ. დიახ, გასული წელიწადი ჩვენი ნაკრებისთვის კარგი არ იყო, მაგრამ არც წაგვიგია და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსიც სხვა გუნდების მსგავსად ჩვენც გვაქვს. ერთი სიტყვით, დუბლინში ყინიან, ამაღელვებელ საღამოს ველი. ირლანდიელები მსაჯის სასტვენთან ერთად შტურმით წამოვლენ, ჩვენ კი მაგრად უნდა დავხვდეთ და იმის რწმენა უნდა გვქონდეს, რომ პასუხს გავცემთ. გწამდეთ, ეს იქნება ფეხბურთი ასი მილი საათში სიჩქარით. შესაძლოა რაღაცით პრემიერლიგის თამაშსაც ჰგავდეს, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ამას უარყოფითი გაგებით ვამბობდე. მე ასეთ ფეხბურთზე ვგიჟდები. მოკლედ, სამახსოვრო საღამო იქნება და რაც გინდა მოხდეს, დიდი ენთუზიაზმით ველი.

**— ამ შეხვედრაში თქვენი მოწინააღმდეგე თქვენივე ჩელსელი თანაგუნდელი დემიენ დაფი იქნება. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— მე დაფის წინააღმდეგ თამაშს ვარჯიშებზე ვარ დაჩვეული და ვიცი საფრანგეთს თუ ვინმესგან საფრთხე ელის, უპირველეს ყოვლისა სწორედ დაფი იქნება. ის ძალიან სწრაფია და მოქმედებებში უცოყმანო. კაცმა რომ თქვას არა მგონია მას უშუალოდ ჩემთან მოუწიოს ბრძოლა,ვინაიდან მოედნის გადაღმა მხრიდან უყვარს თამაში, ასე, რომ უფრო ვილი სანიოლს მოუხდება მასთან ურთიერთობა. მწამს სანიოლიც მაგრად დაუდგება, მითუფრო, რომ მათ გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგაში, როგორც მეტოქეებმა უკვე გაიცნეს ერთმანეთი.

**— „ჩელსიში" დაცვის ცენტრში გადაგიყვანეს. ალბათ, კმაყოფილი ხართ?**

— ცხადია. ამ გადაადგილებამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, თუმცა გულში შიშიც მაქვს, რადგან არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდება ეს სიამოვნება. „ჩელსიში" თითოეულ პოზიციაზე საოცარი კონკურენციაა და რიკარდუ კარვალიუ, ეჭვი არ არის, ძალისხმევას არ დააკლებს შემადგენლობაში რომ დაბრუნდეს. მაგრამ, ასეა თუ ისე, მთავარია მე ვიყო კარგ ფორმაში, თანაც დარწმუნებული ვარ, კარგ ფორმაში იმ შემთხვევაში ვიქნები თუ ცენტრში მათამაშებენ. მოკლედ, ყველაფერი კარგად არის.

**— რაიმონდ დომენეკი კი ისევ მარცხენა მცველად გათამაშებთ. მოგეხსენებათ, ამ დღეებში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველიც კი გიწოდათ...**

— ის ასე ფიქრობს, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ შუაში უფრო მეხერხება თამაში. არადა, ეს ორი პოზიცია ძალიან განსხვავებულია. როდესაც ფრთაზე ვარ, მუდმივად წინ მიწევს სირბილი, ეს კი ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა არ არის. თანაც ვნერვიულობ, რადგან ვიცი, საფრანგეთის მაისურით მარცხენა მცველის პოზიციიდან რამდენიმე სისულელე მაქვს გაკეთებული. მეტოქის საჯარიმოსთან ჩასულიც ბურთს ოსტატურად ვერ ვაწვდი თავდამსხმელებს.

**— თან, ნაკრებს ლილიან ტურამიც დაუბრუნდა, რაც დაცვის შუაში გადასვლის შანსს გიმცირებთ.**

— ტურამი, რომ დიდი ფეხბურთელია მთელმა მსოფლიომ იცის. ის საოცრად გამოცდილია და თამაშის იმდენად მშვიდი მანერა აქვს, რომ მეტოქეებს მარტო ამით განაიარაღებს. ერთი სიტყვით, ძალიან კარგად ვიცი, რომ ნაკრებში მისი დაბრუნება ჩემს შანსებს სერიოზულად ამცირებს, მაგრამ არას დაგიდევთ. ამწუთას ჩემთვის მთავარია საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდეს და ეს ტურამთან ერთად უფრო მოხერხდება, ვიდრე ტურამის გარეშე.

**— და კიდევ დაბრუნდა ზინედინ ზიდანი. რა მოიტანა მან ისეთი, რაც შარშან გაკლდათ?**

— უამრავი რამ. უდიდესი ტექნიკა და გამოცდილება. მონპელიეში სპილოს ძვლის ნაპირთან რომ ვითამაშეთ იქვე გამოჩნდა ყველაფერი. ის ბურთს იჭერს, ყოველ წამს მზადაა დაგეხმაროს, ზუსტად გრძნობს როდის აწიოს ტემპი და როდის დაწიოს... მოკლედ, ზიდანი მაესტროა და მორჩა.

**— მონპელიეში თქვენც აჩვენეთ ოსტატობა. როგორი გრძნობაა საფანგეთის ნაკრების სახელით გოლის გატანა?**

— თან, საკუთარ დაბადების დღეზე, არა? ეს ფანტასტიკურია. მერედა, ეს იყო ჩემი პირველი სანაკრებო გოლი, ანუ მომენტი ყოველმხრივ საგანგებო გამოდგა. თან, ბოლო შეხვედრებში რამდენიმე საეცხოო შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან და ამიტომაც ვიყავი განსაკუთრებით კონცენტრირებული, ხოლო გოლი რომ გავიტანე, გავგიჟდი. ძალიან მაღლა ავხტი და კარგი თავური დავარტყი. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ანგარიში გავხსენი, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი თანაგუნდელების რეაქციამ მასიამოვნა.

# ფრანგული ბარძაყი და კოჭი

**საფრანგეთის** ნაკრების მცველი ლილიან ტურამი და თავდამსხმელი ჯიბრილ სისე ითამაშებენ თუ ვერა ოთხშაბათს დუბლინში, ირლანდიის ნაკრებთან კითხვის ნიშნის ქვეშ არის. არადა, ამ შესარჩევი შეხვედრის შინაარსი არანაირი ალტერნატივის საშუალებას არ იძლევა: მოგება ან არაფერი. შეგახსენებთ, ფრანგებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ყველა დარჩენილი თამაშის მოგება სჭირდებათ.



ტურამს ბარძაყში მეტოქის მუხლი მოხვდა და დაშავდა

შაბათს, ფარერის კუნძულებთან 3:0 მოგებულ შეხვედრაში ტურამი მეორე ტაიმში შეცვალეს. მიზეზი: თავურს რომ ურტყამდა ბარძაყში მეტოქის მუხლი მოხვდა და დაშავდა.

„ეს ისეთი ოხერი ტრავმაა, რომელიც ან ძალიან მალე გადის, ან ჯანჯლდება და ადამიანს ნერვებს უშლის, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით ფრანგთა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა, რომელმაც იქვე დასძინა, რომ შემადგენლობას, რომლითაც დუბლინში ითამაშებს, ბოლო წამამდე არ დაასახელებს.

ხოლო ჯიბრილ სისემ იმავ ფარერებთან შეხვედრის მიწურულს კოჭი გადაიბრუნა.

იმ შემთხვევაში თუ ეს ორი მოთამაშე ხვალ მოედანზე ვერ გავა მათ სავარაუდოდ სებასტიან სკილაჩი და სილვან ვილტორდი შეცვლიან.

**პაპუნა ძედია**



ამ შეხვედრიდან შინ მიმავალი ლიონელები კინაღამ დაიღუპნენ

# შიში

**27 აგვისტოს,** საფრანგეთის ჩემპიონატის მეოთხე ტურში, „ისტრთან" სტუმრად 2:0 გამარჯვების შემდეგ შინისაკენ აბარგებული „ლიონის" ფეხბურთელები კინალამ დაიღუპნენ. თვითმფრინავი, რომელიც მათ კლუბს მთელი სეზონით ჰქონდა დაქირავებული და რომლითაც ისინი მგზავრობდნენ ავარიული გამოდგა, დაჯდომისას პრობლემები შეექმნა. ბორტზე 23 მოთამაშე იჯდა.

გამოძიებამ, რომელიც საზიფათო ინციდენტის შემდეგ ჩატარდა, ცხადჰყო, რომ ამ თითქოსდა გარემონტებულ საფრენ აპარატს ფუზელაჟი და შასი ჰქონდა მოუწესრიგებელი. როგრც სპეციალისტებმა დაადგინეს, ეს თვითმფრინავი აღარასოდეს უნდა აფრინდეს.

დაჯდომის პროცესი იმდენად საძაგელი ფორმისა აღმოჩნდა, რომ ზოგ მოთამაშეს გარდა შოკისა ფიზიკური ტკივილი აქვს გამოყოლილი.

**პაპუნა ძედია**

## სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი





რიკარდო ლავოლპე ცნობილმა ხორხე კამპოსმა დაიცვა

# პუმების მექსიკური შეთქმულება

**ამერიკის ნაკრებთან** სტუმრად წაგების მერე მექსიკელთა არგენტინელ თავკაც რიკარდო ლავოლპეს თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. მექსიკური მედია „გრინგოებთან" მარცხს ვერ ეგუება და უახლოეს დღეებში მწვრთნელს თანამდებობის დაკარგვას უწინასწარმეტყველებს. თუმც ლავოლპეს გავლენიანი მხარდამჭერებიც არ აკლია. გუშინ ცნობილი გოლკიპერი და ამჟამად მექსიკის ნაკრების დამრიგებლის თანაშემწე ხორხე კამპოსი იქაურ „სპორტსიას" კორესპონდენტს გაესაუბრა და აღნიშნა, რომ მწვრთნელის მოხსნა, მიუხედავად საწყენი წაგებისა, უსამართლობა იქნება.

„გასაგებია, რომ ხალხზე ოჰაიოს მატჩის შედეგმა მძიმედ იმოქმედა, თუმც ჯოხის ლავოლპეზე გადატეხვა, ჩემი აზრით, დიდი უსამართლობაა. რიკარდო გამოცდილი სპეციალისტია და, დარწმუნებული ვარ, თუ იგი მწვრთნელის პოსტზე დატოვეს, მომავალში ბევრ თამაშს მოვიგებთ" — თქვა ხორხე კამპოსმა.

ექსგოლკიპერს რიკარდო ლავოლპეს წინააღმდეგ დატრიალებული ინტრიგების შესახებ თავისი ფრიად საინტერესო ვერსიაც აქვს: „ფეხბურთის ფედერაციაში გარკვეული ხალხი მექსიკის ნაკრების წაგებას მოუთმენლად ელოდა, რათა რიკარდო თანამდებობიდან ჩამოეშორებინათ. აქ მე უნამის „პუმების" კვალს ვხედავ — უგო სანჩესმა ამ კლუბის თავკაცებს დიდი ხანია, თავი მოაბეზრა და „პუმებსაც" მისი მწვრთნელობიდან ჩამოშორება სურთ, ოღონდ სანჩესის სახელიდან გამომდინარე, ასე უბრალოდ ვერ აკადრებენ წადიო. ერთადერთი გამოსავალი უგოს ნაკრებში გადასვლა იქნება. სანჩესს ეროვნულ გუნდს ჩააბარებენ და „ლოს პუმასიც" ჭირვეული დამრიგებლისგან დაისვენებს. ამიტომაც ცდილობს ეს კლუბი, ფედერაციასთან თავისი კავშირები გამოიყენოს და რიკარდო ლავოლპეს მექსიკის ნაკრები წაართვან..."

აშშ-ს ეროვნულმა გუნდმა კი ჯერჯერობით ლავოლპესეული მექსიკა ოჰაიოში, „კრიუს" საშინაო არენაზე 2:0 დაამარცხა და გერმანიაში გამგზავრების უფლებაც მიიღო. გოლები მეორე ტაიმში ლუისმა და ბისლიმ გაიტანეს.

# აბონდანსიერი ორ ფრონტზე

**როზერტო აბონდანსიერი**, „ბოკა ხუნიორსისა" და არგენტინის ნაკრების ძირითადი მეკარე, თანამემამულე „კლარინთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ „ორ ფრონტზე" ბრძოლას ერთნაირი წარმატებით მოახერხებს.

„ჩემი კლუბის ხელმძღვანელობას ვუთხარი, რომ ნაკრების არც ერთი თამაშის გამოტოვება არ მინდა, თუმც ამავდროულად არც ის მსურს, რომ აბონდანსიერის გადაწყვეტილებით „ბოკამ" იზარალოს. მგონი, ამ ორი რთული საქმის შეთავსებას მაინც წარმატებით მოვახერხებ" — თქვა მეკარემ.

აბონდანსიერის კონფედერაციათა თასზე არ უთამაშია (გახსოვთ ალბათ გერმანიაში ჩატარებული ტურნირი ბრაზილიამ მოიგო და ფინალში სწორედ არგენტინა დაამარცხა), რადგან იმ პერიოდში ლიბერტადორესის მატჩებში „ბოკა ხუნიორსის" კარს იცავდა. თუმც ახლა რობერტო საკლუბო გათამაშებათაგან თავისუფალია და ნაკრებში თავის კონკურენტებსაც სჯობნის — მწვრთნელ ხოსე პეკერმანის გადაწყვეტილებით, არგენტინელთა ძირითადი გოლკიპერი სწორედ ის არის და არა ლეო ფრანკო ან კიდევ „რივერის" ახალგაზრდა მეკარე ხერმან ლუქსი.

„კლარინთან" აბონდანსიერიმ პარაგვაისთან ამასწინანდელ წაგებაზეც ილაპარაკა: „პარაგვაელებთან დავმარცხდით, მაგრამ ეს არგენტინისთვის პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ ისედაც მივდიოდით. მოდით, ჩვენი ნაკრების დამარცხებას საწყენი შემთხვევითობა დავარქვათ, რაც იმედია, მომავალში აღარ განმეორდება..."



# პარეირას არგენტინის დაჩოქება უნდა

**„ახლა,** როდესაც ბრაზილიას 2006 წლის მუნდიალის საგზური უკვე განაღდებული აქვს, ჩვენი მთავარი მიზანი არგენტინის ნაკრების გადასწრება იქნება. დარჩენილ ორ თამაშში ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შესარჩევი ციკლი პირველ ადგილზე დავასრულოთ" — განაცხადა კარლოს ალბერტო პარეირამ, ბრაზილიის ეროვნული გუნდის დამრიგებელმა.

პარეირას შეგირდებმა კვირას ჩილეს ნაკრები 5:0 გაანადგურეს და მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე მოხვედრილ გუნდთა სიას შეუერთდნენ. ამჟამად სამხრეთ ამერიკის ჯგუფს ხოსე პეკერმანის არგენტინის ნაკრები ლიდერობს, პარეირას ბრაზილია 30 ქულით მეორე ადგილზეა, ოღონდ ბურთების შეფარდება პატაგონიელებზე უკეთესი აქვს.

„წინ ორი მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება, სადაც არგენტინელების გადასწრების ამბავი უნდა გადავწყვიტოთ" — ომახიანად ამბობს



პარეირა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილია 8 ოქტომბერს ბოლივიას ლა-პასში სტუმრობს, ხოლო 11 ოქტომბერს ვენესუელას მიიღებს შინაურ არენაზე. არგენტინელებს პარალელურად პერუსთან და ურუგვაისთან ექნებათ ფიცხელი ბრძოლება.

# შფოთისთავ ვეფხვს მანქანის ტარება აეკრძალა

**ხაირე** „ტიგრე" კასტილიო, არგენტინული „ველეს სარსფილდის", „ინტეპენდიენტესა" და ესპანური „ვალიადოლიდის" ყოფილი მოიერიშე, ორშაბათ საღამოს კოლუმბიის პოლიციამ მანქანის სიმთვრალეში მართვის გამო დააპატიმრა. სიუდად დე კალის პოლიციის უფროსმა მედიის წარმომადგენლებთან აღნიშნა, რომ კასტილიო მაშინ დააკავეს, როცა ხსენებული ქალაქის ქუჩებში თავის თეთრ „მაზდას" გალეშილი (სწორედ უხეშად გამოხატა სენიორ კომანდანტე გომესმა თავისი მრისხანება) დააგელვებდა.

აღმოჩნდა, თურმე „ვეფხვს" ალკოჰოლის სიყვარულით ადრეც შეუცოდავს — 2001 წელს ბოგოტაში მომხდარი ავტოავარიაში ორი ახალგაზრდა გოგონა დაიღუპა, დამნაშავედ მაშინაც მთვრალი კასტილიო შერაცხეს და 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, რაც ყოვლისშემძლე ადვოკატთა შემწეობით ბოლომდე არ მოუხდია. ამჯერად კოლუმბიელი ვეფხვი შედარებით იოლი სასჯელით დააჯარიმეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხაირე კასტილიო 46 თვის განმავლობაში საჭეს არ უნდა გაეკაროს.



ხაირე კასტილიო

# ნუ მშაქებთ, გაფუჭდებაო



რობინიოს ქებით ესპანურმა პრესამ პელე გაალიზიანა

**„რა უბედურება** იყო პრესაში ამხელა აყალმაყალის ატეხვა. კი, რობინიომ „კადისის" წინააღმდეგ ფენომენალურად ითამაშა, „რეალს" მოაგებინა, მაგრამ მედიის მხრიდან ასეთი ქება-დიდებაც, ჩემი აზრით, გადაჭარბებული გახლდათ" — განაცხადა მსოფლიო ფეხბურთის მეფემ, პელემ, ბრაზილიურ „ა ბოლასთან" ინტერვიუში. ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუმ ჟურნალისტებისადმი წყრომის მიზეზიც გაამხილა: „რობინიოს ახლა „რეალთან" ადაპტაციისთვის დრო სჭირდება, გაზეთებმა და ტელევიზიამ კი გადამეტებული ქებით შეიძლება საქმე გაუფუჭონ. მგონი, აჯობებს, გარკვეული დრო ვაცადოთ და შევაქოთ მაშინ, როცა ნამდვილად მადრიდელი გახდება".

### ინგლისი. II ლიგა

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 35 | ჩესტერი-გრიმსბი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 108 | აუგსბურგი-კარლსრუე(მ) | 1.45 | 3.50 | 6.30 | 1.02 | 1.17 | 2.25 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**10 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 183 | ბეტისი-ოსასუნა | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:45 | 185 | დეპორტივო-ატლეტიკო | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 187 | რეალი-სელტა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |

**11 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 21:00 | 184 | ხეტაფე-ბილბაო | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 23:00 | 186 | მალაგა-ესპანიოლი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 21:00 | 188 | რასინგი-კადისი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 21:00 | 189 | ვილიარეალი-სევილია | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 23:00 | 191 | სარაგოსა-ვალენსია | 2.65 | 3.00 | 2.60 | 1.40 | 1.31 | 1.39 |
| 21:00 | 546 | სოსიედადი-ალავესი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |

### არგენტინა

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 435 | არგ. ხუნიორსი-ოლიმპო | 1.80 | 3.20 | 3.90 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| 22:30 | 439 | ნიუელზი-ბანფილდი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 440 | კილმესი-ველესი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 441 | რასინგი-ესტუდიანტესი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 436 | ხიმნასია ლპ-ინდეპენდიენტე | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 437 | ინსტიტუტო-როსარიო | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:30 | 438 | ლანუსი-ხიმნასია ჟ | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 442 | რივერ პლეიტი-კოლონი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 22:30 | 443 | სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:00 | 444 | ტირო ფედერალი-არსენალი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |

### ბრაზილია

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 455 | ბოტაფოგო-ვასკუ და გამა | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 23:00 | 456 | ფიგეირენსე-გოიასი | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| 23:00 | 457 | ფორტალესა-სან კაეტანო | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:00 | 458 | ჟუვენტუდი-პარანა | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:00 | 459 | სან პაულუ-კორინთიანსი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 460 | კრუზეირო-ფლუმინენსე | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| 23:45 | 461 | პაისანდუ-პონტე პრეტა | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |

**8 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 463 | პალმეირასი-კურიტიბა | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 464 | ფლამენგო-ინტერნასიონალი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |

### მჩ. შესარჩევი მატჩები

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:05 | 495 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 496 | მექსიკა-პანამა | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 23:45 | 497 | გვატემალა-აშშ | 4.30 | 3.60 | 1.60 | 1.95 | 1.16 | 1.10 |
| 23:45 | 498 | კოსტა რიკა-ტრინიდადი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 17:00 | 499 | ყაზახეთი-საბერძნეთი | 15.00 | 7.50 | 1.10 | 5.00 | 1.02 | 1.00 |
| 19:00 | 500 | რუსეთი-პორტუგალია | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:30 | 501 | ჩეხეთი-სომხეთი | 1.02 | 9.50 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.88 |
| 20:00 | 502 | ფინეთი-მაკედონია | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 20:00 | 503 | ლატვია-სლოვაკეთი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 20:00 | 504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 20:00 | 505 | ბულგარეთი-ისლანდია | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 20:15 | 506 | უკრაინა-თურქეთი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 20:45 | 507 | მალტა-ხორვატია | 18.00 | 8.00 | 1.05 | 5.53 | 1.00 | 1.00 |
| 21:00 | 508 | ლიტვა-ბოსნია | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 21:00 | 509 | ბელარუსი-იტალია | 6.50 | 3.50 | 1.50 | 2.27 | 1.21 | 1.04 |
| 21:00 | 510 | ნორვეგია-შოტლანდია | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 21:00 | 511 | ფარერები-ისრაელი | 12.00 | 6.00 | 1.15 | 4.00 | 1.04 | 1.00 |
| 21:30 | 512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| 22:15 | 514 | კვიპროსი-შვეიცარია | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 22:15 | 515 | მოლდოვა-სლოვენია | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 22:30 | 516 | პოლონეთი-უელსი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 22:30 | 517 | ჰოლანდია-ანდორა | 1.01 | 11.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.63 |
| 22:30 | 518 | ბელგია-სან მარინო | 1.02 | 9.00 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 7.15 |
| 22:45 | 519 | უნგრეთი-შვედეთი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 22:45 | 520 | ირლანდია-საფრანგეთი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 22:45 | 521 | ჩრდ.ირლანდია-ინგლისი | 15.00 | 5.00 | 1.15 | 3.75 | 1.06 | 1.00 |
| 23:45 | 522 | ესპანეთი-სერბია | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |

### ამხანაგური მატჩები

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 523 | გერმანია-სამხრეთ აფრიკა | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |

### ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)

**6 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 524 | ყაზახეთი(21)-საბერძნეთი(21) | 11.00 | 5.50 | 1.15 | 3.66 | 1.04 | 1.00 |
| 17:00 | 525 | აზერბაიჯანი(21)-ავსტრია(21) | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 18:00 | 526 | ბულგარეთი(21)-ისლანდია(21) | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 18:00 | 527 | კვიპროსი(21)-შვეიცარია(21) | 12.00 | 5.50 | 1.15 | 3.77 | 1.04 | 1.00 |
| 19:00 | 528 | ლატვია(21)-სლოვაკეთი(21) | 2.80 | 3.10 | 2.15 | 1.47 | 1.21 | 1.26 |
| 19:00 | 529 | რუსეთი(21)-პორტუგალია(21) | 2.80 | 3.00 | 2.25 | 1.44 | 1.24 | 1.28 |
| 19:30 | 530 | პოლონეთი(21)-უელსი(21) | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 20:00 | 531 | ლიტვა(21)-ბოსნია(21) | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 20:00 | 532 | ფინეთი(21)-მაკედონია(21) | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 20:00 | 533 | ბელარუსი(21)-იტალია(21) | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| 20:30 | 534 | უკრაინა(21)-თურქეთი(21) | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 21:00 | 535 | მალტა(21)-ხორვატია(21) | 11.00 | 5.80 | 1.10 | 3.79 | 1.00 | 1.00 |
| 22:00 | 537 | ნორვეგია(21)-შოტლანდია(21) | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 22:00 | 538 | ბელგია(21)-სან მარინო(21) | 1.02 | 12.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 7.50 |
| 22:30 | 539 | გერმანია(21)-ინგლისი(21) | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 22:45 | 540 | ირლანდია(21)-საფრანგეთი(21) | 3.80 | 3.40 | 1.75 | 1.79 | 1.19 | 1.15 |
| 23:45 | 541 | ესპანეთი(21)-სერბია(21) | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |

**7 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 542 | მოლდოვა(21)-სლოვენია(21) | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 18:00 | 543 | უნგრეთი(21)-შვედეთი(21) | 2.75 | 3.10 | 2.20 | 1.45 | 1.22 | 1.28 |
| 18:00 | 544 | ჩეხეთი(21)-სომხეთი(21) | 1.04 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.00 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10497 | გვატემალა-აშშ | 4.70 | 2.10 | 2.00 | 1.45 | 1.40 | 1.02 |
| 10498 | კოსტა რიკა-ტრინიდადი | 1.85 | 2.20 | 5.00 | 1.00 | 1.35 | 1.52 |
| 10500 | რუსეთი-პორტუგალია | 2.85 | 2.00 | 2.90 | 1.17 | 1.43 | 1.18 |
| 10502 | ფინეთი-მაკედონია | 1.70 | 2.10 | 7.50 | 1.00 | 1.38 | 1.64 |
| 10503 | ლატვია-სლოვაკეთი | 3.35 | 2.00 | 2.55 | 1.25 | 1.44 | 1.12 |
| 10504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 6.50 | 2.20 | 1.80 | 1.64 | 1.40 | 1.00 |
| 10505 | ბულგარეთი-ისლანდია | 1.50 | 2.30 | 8.50 | 1.00 | 1.27 | 1.81 |
| 10506 | უკრაინა-თურქეთი | 2.90 | 2.00 | 2.95 | 1.18 | 1.46 | 1.19 |
| 10508 | ლიტვა-ბოსნია | 2.75 | 2.00 | 3.10 | 1.15 | 1.45 | 1.21 |
| 10509 | ბელარუსი-იტალია | 6.70 | 2.20 | 1.75 | 1.65 | 1.38 | 1.00 |
| 10510 | ნორვეგია-შოტლანდია | 1.85 | 2.10 | 5.50 | 1.00 | [illegible] | 1.81 |
| 10512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 1.75 | 2.10 | 7.00 | 1.00 | 1.39 | 1.61 |
| 10514 | კვიპროსი-შვეიცარია | 7.00 | 2.10 | 1.80 | 1.61 | 1.43 | 1.00 |
| 10515 | მოლდოვა-სლოვენია | 3.70 | 2.00 | 2.45 | 1.29 | 1.47 | 1.10 |
| 10516 | პოლონეთი-უელსი | 1.55 | 2.20 | 8.30 | 1.00 | 1.30 | 1.73 |
| 10519 | უნგრეთი-შვედეთი | 4.40 | 2.00 | 2.10 | 1.37 | 1.42 | 1.02 |
| 10520 | ირლანდია-საფრანგეთი | 3.70 | 2.00 | 2.50 | 1.29 | 1.49 | 1.11 |
| 10522 | ესპანეთი-სერბია | 1.85 | 2.00 | 7.00 | 1.00 | 1.46 | 1.55 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15499 | ყაზახეთი-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15500 | რუსეთი-პორტუგალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15501 | ჩეხეთი-სომხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15502 | ფინეთი-მაკედონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15503 | ლატვია-სლოვაკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15505 | ბულგარეთი-ისლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15506 | უკრაინა-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15507 | მალტა-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 | ლიტვა-ბოსნია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 | ბელარუსი-იტალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15510 | ნორვეგია-შოტლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15511 | ფარერები-ისრაელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15514 | კვიპროსი-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15515 | მოლდოვა-სლოვენია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15516 | პოლონეთი-უელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15517 | ჰოლანდია-ანდორა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15518 | ბელგია-სან მარინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15519 | უნგრეთი-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15520 | ირლანდია-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15521 | ჩრდ.ირლანდია-ინგლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15522 | ესპანეთი-სერბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11495 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11497 | გვატემალა-აშშ | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11498 | კოსტა რიკა-ტრინიდადი | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11500 | რუსეთი-პორტუგალია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11502 | ფინეთი-მაკედონია | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11503 | ლატვია-სლოვაკეთი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | [illegible] |
| 11505 | ბულგარეთი-ისლანდია | 1.60 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 5.00 | 9.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11506 | უკრაინა-თურქეთი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11508 | ლიტვა-ბოსნია | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.30 |
| 11509 | ბელარუსი-იტალია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | [illegible] | [illegible] |
| 11510 | ნორვეგია-შოტლანდია | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 1.70 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 9.00 | 9.00 |
| 11514 | კვიპროსი-შვეიცარია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.90 |
| 11515 | მოლდოვა-სლოვენია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11519 | უნგრეთი-შვედეთი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11520 | ირლანდია-საფრანგეთი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.85 |
| 11522 | ესპანეთი-სერბია | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14495 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 1.55 | 2.20 |
| 14497 | გვატემალა-აშშ | 2.50 | 1.30 |
| 14498 | კოსტა რიკა-ტრინიდადი | 1.25 | 2.50 |
| 14500 | რუსეთი-პორტუგალია | 1.80 | 1.85 |
| 14502 | ფინეთი-მაკედონია | 1.15 | 2.50 |
| 14503 | ლატვია-სლოვაკეთი | 2.00 | 1.70 |
| 14504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 2.50 | 1.25 |
| 14505 | ბულგარეთი-ისლანდია | 1.06 | 2.90 |
| 14506 | უკრაინა-თურქეთი | 1.80 | 1.85 |
| 14508 | ლიტვა-ბოსნია | 1.80 | 2.00 |
| 14509 | ბელარუსი-იტალია | 2.50 | 1.25 |
| 14510 | ნორვეგია-შოტლანდია | 1.30 | 2.20 |
| 14512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 1.20 | 2.50 |
| 14514 | კვიპროსი-შვეიცარია | 2.30 | 1.20 |
| 14515 | მოლდოვა-სლოვენია | 2.20 | 1.60 |
| 14516 | პოლონეთი-უელსი | 1.06 | 2.60 |
| 14519 | უნგრეთი-შვედეთი | 2.40 | 1.40 |
| 14520 | ირლანდია-საფრანგეთი | 2.20 | 1.60 |
| 14522 | ესპანეთი-სერბია | 1.15 | 2.30 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13495 | ბაჰრეინი-უზბეკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13497 | გვატემალა-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 13498 | კოსტა რიკა-ტრინიდადი | 1.90 | 1.70 |
| 13500 | რუსეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 13502 | ფინეთი-მაკედონია | 1.70 | 1.90 |
| 13503 | ლატვია-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 1.90 | 1.70 |
| 13505 | ბულგარეთი-ისლანდია | 1.90 | 1.70 |
| 13506 | უკრაინა-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13508 | ლიტვა-ბოსნია | 1.70 | 1.90 |
| 13509 | ბელარუსი-იტალია | 1.90 | 1.60 |
| 13510 | ნორვეგია-შოტლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13514 | კვიპროსი-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |
| 13515 | მოლდოვა-სლოვენია | 1.70 | 1.90 |
| 13516 | პოლონეთი-უელსი | 1.70 | 1.90 |
| 13519 | უნგრეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13520 | ირლანდია-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 13522 | ესპანეთი-სერბია | 1.90 | 1.70 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2.5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12500 | რუსეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 12502 | ფინეთი-მაკედონია | 1.90 | 1.65 |
| 12503 | ლატვია-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 12504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 1.70 | 1.90 |
| 12505 | ბულგარეთი-ისლანდია | 1.90 | 1.65 |
| 12506 | უკრაინა-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 12508 | ლიტვა-ბოსნია | 1.60 | 2.00 |
| 12509 | ბელარუსი-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 12510 | ნორვეგია-შოტლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12511 | ფარერები-ისრაელი | 2.00 | 1.60 |
| 12512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 2.00 | 1.60 |
| 12514 | კვიპროსი-შვეიცარია | 1.90 | 1.70 |
| 12515 | მოლდოვა-სლოვენია | 1.60 | 2.00 |
| 12516 | პოლონეთი-უელსი | 1.90 | 1.70 |
| 12519 | უნგრეთი-შვედეთი | 1.90 | 1.70 |
| 12520 | ირლანდია-საფრანგეთი | 1.60 | 2.00 |
| 12522 | ესპანეთი-სერბია | 1.90 | 1.70 |

## გოლი:წყვილი-1ია კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17499 | ყაზახეთი-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17500 | რუსეთი-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17501 | ჩეხეთი-სომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17502 | ფინეთი-მაკედონია | 1.85 | 1.95 |
| 17503 | ლატვია-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17504 | აზერბაიჯანი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17505 | ბულგარეთი-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17506 | უკრაინა-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17507 | მალტა-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17508 | ლიტვა-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 17509 | ბელარუსი-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17510 | ნორვეგია-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17511 | ფარერები-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17512 | ლიხტენშტაინი-ლუქსემბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17514 | კვიპროსი-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17515 | მოლდოვა-სლოვენია | 1.85 | 1.95 |
| 17516 | პოლონეთი-უელსი | 1.85 | 1.95 |
| 17517 | ჰოლანდია-ანდორა | 1.85 | 1.95 |
| 17518 | ბელგია-სან მარინო | 1.85 | 1.95 |
| 17519 | უნგრეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17520 | ირლანდია-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17521 | ჩრდ.ირლანდია-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17522 | ესპანეთი-სერბია | 1.85 | 1.95 |

# გორდონ ჰერბერტი: დამნაშავე გინდათ? აქ ვარ

## საქართველოს სასწაულის და ფინეთის იმედზეა

**ფინეთში** წაგებული საქართველოს ნაკრები გუშინ დილით დაბრუნდა თბილისში და სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდა. გორდონ ჰერბერტი მაკედონიისა და ლუქსემბურგის ნაკრებებთან სათამაშოდ გუნდს „დინამოს“ ბაზაზე მოამზადებს და იმედოვნებს, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსს გამოიყენებს, მანამდე კი ჰერბერტმა „ბატესტაში“ პრესკონფერენცია მოაწყო და წაგების მიზეზებზე ისაუბრა...

— თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ, მაგრამ საბოლოოდ ვერ შევინარჩუნეთ რიტმი — დაიწყო ჰერბერტმა — დაცვაში კარგად ვიდექით და სოლიდურადაც დავწინაურდით, მაგრამ მერე უკანა ხაზი მოგვისუსტდა. მესამე მეოთხედში იმ ორმოდან ამოვედით, რომელშიც პირველ ტაიმში აღმოვჩნდით, ცქიტიშვილის სამქულიანებმა კი ლიდერობა დაგვიბრუნა. ბოლოს ისევ დაცვამ დაგვაღალატა, ფინელებმაც საკუთარი ძალები ირწმუნეს და დაგვამარცხეს კიდეც.

**— თქვენი აზრით, რა იყო წაგების მიზეზები?**

— თამაშამდე ერთი თვით ადრე შევიკრიბეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ გუნდის ლიდერები მოგვიანებით შემოგვიერთდნენ და წაგების მთავარი მიზეზიც ეს უნდა იყო.

— ბიჭებს ვეუბნებოდი, რომ მოედანზე უნდა იყოს გუნდი, ერთი მთლიანობა და არა ინდივიდუალისტები. თავიდან ჩემს დავალებას ასრულებდნენ, მერე კი რატომღაც ყველაფერი აირია და ცუდი შედეგი მივიღეთ.

— გუნდი იგებს და აგებს, მაგრამ თუ მაინცდამაინც დამნაშავის პოვნა გინდათ, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. ახლა მხოლოდ მომავალ მატჩებზე ვფიქრობ და რა იქნება მერე, ვერ მოგახსენებთ. წავალ თუ დავრჩები საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე, ჯერ არ გადამიწყვეტია.

— თქვენ ალბათ გაინტერესებთ, ვისი უკმაყოფილო ვარ, ვინ ვერ გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას. ამ შემთხვევაში თქვენს ცნობისმოყვარეობას ვერ დავაკმაყოფილებ, რადგან ზურგსუკან, პრესის საშუალებით მოთამაშეებისთვის საყვედურის თქმა არ მჩვევია. მე პირადად დაველაპარაკები იმათ, ვისმა თამაშმაც არ დამაკმაყოფილა.

— მაკედონიასთან ძალიან სერიოზული და პრინციპული მატჩი გველის. ჩვენ ჩვენსას ბოლომდე ვეცდებით და მაკედონიას თუ დავამარცხებთ, მერე ფინეთის იმედად ვიქნებით. დაცვაზე გავაკეთებთ აქცენტს. ვფიქრობ, ამ კომპონენტში კარგი თამაში გამარჯვების გარანტი იქნება.





გორდონ ჰერბერტი

მერაბ ფოლადაშვილის ფოტო



კიმ შილდსი

მერაბ ფოლადაშვილის ფოტო

ეს იყო და ეს. ჰერბერტმა ჟურნალისტებთან საუბარი მოათავა და პრესკონფერენციაც დასრულდა. იქვე იყო ჰერბერტის თანაშემწე კიმ შილდსი, რომელსაც, ცხადია, გავესაუბრეთ.

**— ბატონო კიმ, გჯერათ, რომ ჯგუფიდან გავალთ?**

— იმედი არ დამიკარგავს და რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ — მაკედონიას თავს შევაკლავთ. თუ მოვიგეთ, მერე ყველაფერი მაკედონია — ფინეთის მატჩზე იქნება დამოკიდებული. ვნახოთ.

**— თქვენი აზრით, რა იყო წაგების მთავარი მიზეზი?**

— ორი რამ — უიღბლობა და მომზადების დონე. ერთი თვე ასე თუ ისე საკმარისი დროა მოსამზადებლად, მაგრამ საქმე ისაა, რომ სრულ შემადგენლობას, რომელმაც ფინეთთან ითამაშა, მატჩამდე ორი დღით ადრე მოვუყარეთ თავი. გუნდის მთავარი ხერხემალი, მოგეხსენებათ, ოთხი მოთამაშე იყო — ფაჩულია, უილიამსი, ვლადიმერ ბოისა და ცქიტიშვილი. აქედან მხოლოდ ბოისა იყო ამ ერთი თვის განმავლობაში ჩვენთან, ფაჩულია, უილიამსი და ცქიტიშვილი ბოლოს შემოგვიერთნენ.

**— რატომ, ფაჩულია, ხომ 15 აგვისტოს შეუერთდა ნაკრებს?**

— კი, მაგრამ მას ტრავმა აწუხებდა და გერმანიაში სანამ ტურნირი დაიწყებოდა, მხოლოდ ერთხელ ივარჯიშა. მან გააცდინა საბერძნეთთან და გერმანიასთან მატჩი და ასევე იყო ცქიტიშვილიც, რომელიც 26-ში ჩამოვიდა. „სკიტამაც“ ერთი მატჩი ითამაშა სრულყოფილად, შემონდ უილიამსი კი, მოგეხსენებათ, ფინეთში გაფრენის წინა ღამეს ჩამოვიდა.

**— მიზეზიც ესაა?**

— როცა გუნდის ლიდერებს ერთად თამაშის გამოცდილება არა აქვთ, ძნელია წარმატებაზე ფიქრი. საბერძნეთის წინააღმდეგ ძალიან კარგად ვითამაშეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამი კალათბურთელიდან მოედანზე ერთიც არ იმყოფებოდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ გუნდი კარგად იყო შეთამაშებული და მერე, ლიდერები რომ ჩამოვიდნენ, რაღაც-რაღაცეები აირია. ბოლომდე რომ თავიდანვე გვყოლოდა სრული შემადგენლობა, დარწმუნებული ვარ, ფინეთს დავამარცხებდით. ფინეთის ნაკრებმა სწორედ შეთამაშებით გვაჯობა, ამ გუნდს, ორი წელია, ერთი მწვრთნელი წვრთნის და ამ შემადგენლობით თამაშობენ ყველა მატჩს. ისინი ხნიერები და ერთმანეთთან შეწყობილები არიან, ჩვენ კი სულ ახალგაზრდები გვყავდა და თან არასათანადოდ შეთამაშებულები.

**— ვლადიმერ ბოისას ინერტიულობაზე რას იტყვით?**

— ბოისას ცუდად არ უთამაშია, ის დაცვაში კარგად იდგა. როცა იგი ჰანო მოტოლას იჭერდა, ამ უკანასკნელს ბურთი არ ჩაუგდია. შეტევაში მისი ინერტულობა კი იმის ბრალია, რომ სხვა ლიდერებს წაუვიდათ ტყორცნები და მას ხელი აღარ შეუშლია.

**ირაკლი პერტაია**



# დაღესტნიდან პეკინამდე

## მესხაძის შეგირდები ჩინეთამდე მუშტს რუსეთში გაიქნევენ



თენგიზ მესხაძე ნიკა იზორიას და კონსტანტინე კუპატაძეს მახაჭყალაში გამოცდის

მერაბ ფოლადაშვილის ფოტო

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრებს სეზონის უმთავრესი ტურნირი ორ თვეში ელის. პეკინში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას თენგიზ მესხაძის გუნდი კარგა ხანია, შეუდგა და უკვე რამდენიმე შეკრების გავლაც მოასწრო, გუშინწინ კი რუსეთში გაემგზავრა, მახაჭყალის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გამოსასვლელად.

დაღესტნური ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან პეკინამდე ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრია და, სავარაუდოდ, გუნდები უძლიერესი შემადგენლობებით ჩავლენ. მესხაძემაც ძირითადად ის შეგირდები იახლა თან, საპეკინედ რომ შეუგულებია. მათ შორის ოლიმპიური გუნდის წევრები ნიკოლოზ იზორია და კონსტანტინე კუპატაძეც არიან, თუმცა იზორია ერთი წონით მაღლა აიწევს.

„ნიკას ზედმეტი წონა აქვს და საამტურნიროდ დაკლება მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ. 54 კილოგრამში იჩხუბებს, პეკინში კი 51 კილოგრამს დაუბრუნდება“ — გვითხრა მესხაძემ დაღესტანში გამგზავრებამდე.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს ნაკრები | |
|---|---|
| 48 კგ | ზვიად ხალვაში |
| 54 კგ | ნიკოლოზ იზორია |
| 57 კგ | კობა ქვაჭაძე |
| 60 კგ | ვასილ ყანჩაველი<br>კონსტანტინე კუპატაძე |
| 64 კგ | ლევან ლომინაძე |
| 69 კგ | კახა ქვაბია |
| 75 კგ | ანატოლი ქოჩიაშვილი |
| 81 კგ | დავით ნიკოლაიშვილი<br>ამირან კილაძე |
| 91 კგ | ბექა ლობჟანიძე |
| +91 კგ | თამაზ ჯაოშვილი |



ტატიანა ლებედევამ ოქროს ზოდს გემო გაუსინჯა

# ერთი რუსის ოქროსზოდიანი ცოლი

## ტატიანა ახტა, დახტა და ქერის ორმოში ჩახტა

**გასულ კვირას მძლეოსნობის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილი იყო ბერლინისკენ, სადაც ამ სახეობის წარმომადგენელთა გრან-პრის ეტაპი ჩატარდა. შეჯიბრების გმირი გახდა რუსი ტატიანა ლებედევა, რომელმაც ოქროს ლიგის მთავარი პრიზი მოიპოვა, რომლის ღირებულებაც 1 მილიონი დოლარია. ამგვარად, ლებედევა გახდა ერთადერთი სპორტსმენი ქალი, რომელმაც ამ სეზონში გამართული ოქროს ლიგის ყველა შეჯიბრება მოიგო.**

**ეს** 29 წლის ვოლგოგრადელი სპორტსმენი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია სამხტომში. ივლისში ჰელსინკში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი მან შეგნებულად გამოტოვა და მთელი ყურადღება მიაპყრო ოქროს ლიგის ტურნირებს, სადაც მძლეოსანთა ყველაზე ძვირფასი პრიზი ელოდა.

„მე მუდამ რაღაც ამდაგვარზე ვოცნებობდი — უთხრა როიტერის კორესპონდენტს ლებედევამ — და აი, ჩემი ოცნება, ბოლოს და ბოლოს, ასრულდა".

მილიონ დოლარად შეფასებული ოქროს ზოდი ენიჭება იმ სპორტსმენს, რომელიც თავის დისციპლინაში ოქროს ლიგის ექვსივე ტურნირში იმარჯვებს, ეს ასპარეზობები კი ერთი სეზონის განმავლობაში ტარდება. ლებედევა გახდა მსოფლიოში მეორე სპორტსმენი ქალი, რომელმაც ესოდენ იშვიათ წარმატებას მიაღწია. მანამდე მსგავსი სიხარული მოზამბიკელმა მარია მუტოლამ განიცადა, როცა 2003 წელს 800 მეტრზე რბენაში ექვსივე ეტაპზე იმარჯვა.

ტატიანა ლებედევა ამ სეზონში უჩვეულოდ სტაბილურად გამოდიოდა. მან უზადოდ იასპარეზა ოქროს ლიგის ექვსივე შეჯიბრებაში, რომლებიც პარიზში, რომში, ოსლოში, ციურიხში, ბრიუსელსა და ბერლინში გაიმართა. ამ ასპარეზობებში მისი ყველაზე ცუდი შედეგი 14,94 მეტრი იყო (ბრიუსელში), ხოლო საუკეთესო პარიზული აღმოჩნდა — 15,11.

საინტერესოა, რომ ბერლინში ოქროს ლიგის ბოლო ეტაპზე ლებედევას მაისურაზე ეწერა „1000000" და არა „1", როგორც ჩვეულებრივ აქამდე ასპარეზობდა.

ასე იყო თუ ისე, ლებედევამ ოქროს ლიგის ჯეკპოტი ისე მოხსნა, რომ ერთ დისციპლინაში ექვსივე ეტაპი მოიგო.

ლებედევამ უკვე იცის, თუ რაში უნდა დახარჯოს თავისი მილიონი.

„თავდაპირველად, სულელური იდეა მომივიდა თავში. მინდოდა, „ფერარის" ბოლო მოდელი მეყიდა და ამ უმშვენიერესი მანქანით ვოლგოგრადის ქუჩებში მექროლა. მერე ვიფიქრე, ამას ხომ მომტაცებენ, ან დავამტვრევ. ჰოდა, მერე ავტოსერვისი სადღა ვეძებო-მეთქი. არც კეთილმოწყობილი სახლი მჭირდებოდა, მით უმეტეს ერთ ადგილზე ჯდომა არ მიყვარს. ჰოდა, ვიფიქრე, ამ ფულს მოგზაურობაში დავხარჯავ-მეთქი. მინდა მთელ აფრიკას შემოვუარო,, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის დათვალიერებაც ძალიან მინდა. ბავშვობიდან ინკების, აცტეკებისა და მაიას კულტურაზე ჭკუას ვკარგავ. ამ შემოდგომაზე ქმართან ერთად უთუოდ წავალ კარიბულ ტურნეზე: დავათვალიერებ იამაიკას, პუერტო რიკოს, კოსტა რიკას, პანამას".

სხვათა შორის, ლებედევა მთელი ფულის მოგზაურობაში დახარჯვას სულაც არ აპირებს.

„თანხის მეათედს უთუოდ ვაჩუქებ კარგ ადამიანებს. მინდოდა მხარდაჭერა აღმომეჩინა სტერლიტამაკის ბავშვთა სპორტსკოლისთვის, სადაც კარიერა დავიწყე — ამბობს ლებედევა, მაგრამ ჩემი პირველი მწვრთნელი ელენა მიხაილოვნა კოშელევა იქ აღარ მუშაობს, უმისოდ კი დარწმუნებული სულაც არა ვარ, რომ ფულს ისე დახარჯავენ, როგორც საჭიროა, ის კი ნაღდად ვიცი, რომ რაღაც თანხას იმ საბავშვო ბაღს გადავურიცხავ, სადაც ჩემი გოგონა ნასტია დადის. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი საბავშვო ბაღია, რომელსაც უბადრუკი სახურავი აქვს და წყალს უშვებს. ფანჯრებიც ძველი და ულიმღამოა. უნდა დავეხმარო ვოლგოგრადის სამშობიაროსაც, სადაც ნასტია დაიბადა."

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ელენა ისინბაევას მოტოციკლი ფეხებშუა გაუსხლტა

**რუსეთმა, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე მე ვარო და ამგვარი პრეტენზიით ბევრი რამ სათავისოდ დაითრია კიდეც, მათ შორის სსრკ-სა და ამერიკის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩიც, რომელიც თავის დროზე საკმაოდ დიდი სპორტული მოვლენა იყო. ამგვარი შეჯიბრება ახლაც გაიმართა მოსკოვში და იგი კურიოზულად დასრულდა, ისევე, როგორც დაიწყო.**



ელენა ისინბაევა

**ასპარეზობის** ბოლოს ამერიკელმა ანჯანეტა კრიკლენდმა ხელჩანთა დაკარგა, რომელშიც პასპორტიც ჰქონდა. ჰოდა, გულშემოყრილმა აღარ იცოდა, რა ექნა, რადგან უპასპორტოდ სამშობლოში ვეღარ გაემგზავრებოდა, ისე კი რუსეთში ცხოვრება ელოდა. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ფიქრობდა. ანჯანეტას, ცხადია, თანაგუნდელებმა და მასპინძლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს. ყველანი აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და სტადიონის რადიოთიც გამოაცხადეს, ვინც მიიპარა ჩანთა, გთხოვთ დააბრუნოთო. თან სპორტსმენებიც და მაყურებლებიც სანაძლეოს დებდნენ, უფრო იმაზე, რომ ამერიკელს ჩანთას არავინ დაუბრუნებსო. ბოლოს ყველაფერი კეთილად დასრულდა და გახარებულმა მძლეოსანმა ზედ სარბიელზე როკვა გააჩაღა, თან პარტნიორებს პასპორტს უჩვენებდა.

ანჯანეტას სიხარული თანაგუნდელებსაც გადაედოთ და ატყდა ერთი ტაშ-ფანდური. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამერიკის ნაკრები ლამის მთლიანად აფროამერიკელებით იყო დაკომპლექტებული, ნათელი გახდება, თუ რა ცეცხლოვანი როკვა გაჩაღდა. ამერიკელებს ამ სიხარულმა რუსებთან დამარცხება მთლად გადაავიწყა.

და რაკი ამ შეჯიბრებაში სპორტსმენებმა ერთი-ორი გამონაკლისის გარდა მაინცდამაინც კარგი შედეგებით ვერ გამოიჩინეს თავი, ამაზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ და ასპარეზობის პრელუდიაზე გიამბობთ, რომელმაც უფრო მიიპყრო ჩვენი კოლეგების ყურადღება, ვიდრე თავად შეჯიბრმა.

ამ ასპარეზობას ორგანიზატორებმა პოლიტიკური ქვეტექსტი გამოუჩხრიკეს, როცა განაცხადეს, რომ ეს ტურნირი ორი ქვეყნის ამჟამინდელ ურთიერთობაში ერთადერთი ღონისძიებაა.

შეჯიბრების დაწყებამდე პრესკონფერენციაზე ამერიკელები კარგა ხანს არ გამოჩნდნენ. ჰოდა, იქ შეკრებილმა ჟურნალისტებმა მთელი ყურადღება ელენა ისინბაევაზე გადაიტანეს, რომელმაც ჩვენი კოლეგების რაგინდარა ინტიმურ საკითხებზე დასმულ კითხვებს უპასუხა და უპასუხა. მერე ისე მოაბეზრეს თავი ამგვარი თემატიკით, რომ სამჯერ ლამის იკივლა, თავი დამანებეთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ამერიკელებიც გამოჩნდნენ. მათ შორის მთავარი რუსეთში ამერიკის ელჩი უილიამ ბერნსი იყო. დიპლომატმა ის იყო ორ ენაზე წაიკითხა პრესრელიზი და მას მოსკოვის სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. რუსეთის სპორტის მთავარმა საჭეთმპყრობელმა ვიაჩესლავ ფეტისოვმა იფიქრა, ამ კაცს ტრიბუნაზე მარტო ხომ დავტოვებო და ისიც იქ ავიდა. ჯერ ისინბაევა გადაკოცნა, მერე რუს მძლეოსანთა ვარსკვლავ იური ბორზაკოვსკისაც ჩამოართვა ხელი, ამერიკელ ათლეტებს კი ზედაც არ შეხედა, რომლებიც მას რატომღაც შეშინებულები უყურებდნენ.

„ახლა რუსეთში ძალიან ბევრი რამ ხდება — დაიწუწუნა ფეტისოვმა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შეჯიბრება ძალიან მნიშვნელოვანი რამაა"...

მანამ ფეტისოვი ლაპარაკობდა, როგორც ჩვენი კოლეგები აღნიშნავენ, ბორზაკოვსკი ცვალებადი წარმატებით მთქნარებას ებრძოდა, თუმცა მხოლოდ ბორზაკოვსკი არ ყოფილა ამ დღეში.

ყველაზე უკეთ სიტყვით რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ვალენტინ ბალახნიჩევი გამოვიდა.

ასპარეზობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა განაცხადა, რომ შეჯიბრების საპრიზო ფონდი 800 ათას დოლარზე მეტიაო. ამის გაგონებაზე ამერიკელი მძლეოსანი ჰარის ჯებრი გამოცოცხლდა:

„სალამი" — თქვა მან რუსულად და იქვე მშობლიურზე გადავიდა. — ძალიან მიხარია, რომ ამ ასპარეზობაზე მომიწვიეს. და მადლობა ორგანიზატორებს". ეს უკვე ისევ რუსულად წარმოთქვა ამერიკელმა.

ალმოჩნდა, რომ ამ შეჯიბრებაში მსოფლიოს რეკორდის დამყარებისთვის მისი ავტორები ძალიან მაგარი მოტოციკლეტით უნდა დაეჯილდოვებინათ. და როცა ეს გამოცხადდა, ყველამ მზერა ისინბაევას მიაპყრო, რომელიც მსოფლიოს რეკორდებს, მოგეხსენებათ, პანტა-პუნტით ამყარებს. ჰოდა, იმანაც იმ მზერის პასუხად თქვა, მე მოტოციკლეტის მართვის უფლება მაქვსო. ამაში ისინბაევა რეკორდის დამყარებას გულისხმობდა.

ბოლოს ბალახნიჩევმა განაცხადა, რომ 2011 წელს მოსკოვი მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის მიღებას შეეცდებაო. ამ განცხადებამ ფეტისოვი ისე გაახარა, რომ გაკვირვებისგან მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა. ამაზე ჟურნალისტებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ამ ხალხმა ერთმანეთში მაინც მოილაპარაკონო.

ახლა რაკი ყოველივე ამაზე სპორტული გაზეთი მოგითხრობთ, ერთ-ორ სიტყვას თავად შეჯიბრებაზე მაინც გეტყვით.

ელენა ისინბაევამ მართლაც დამაჯერებლად გაიმარჯვა. მან პირველსავე ცდაზე ისეთი სიმაღლე შეუკვეთა, როგორიც ბევრს არც დაესიზმრებოდა და გადახტა კიდეც. ბოლოს მან, რა თქმა უნდა, მსოფლიოს რეკორდსაც შეუტია (5.02), მაგრამ სამი ცდის მიუხედავად, საწადელს ვეღარ მიაღწია.

ისინბაევას მწვრთნელმა ევგენი ტროფიმოვმა თქვა, რომ მოსკოველი მაყურებლის გახარება რამდენიმე მიზეზის გამო არ გამოვიდაო.

„ჯერ ერთი, ამინდი არც ისე კარგი იყო. რაც არ უნდა ითქვას, მაინც ძლიერი ქარი ქროდა. მეორეც, მოსკოველი მაყურებელი ძალზე მოთენთილია. ლენა მაყურებლებს ქოქავდა და ქოქავდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არადა, ისინბაევას უყვარს პირთამდე სავსე და მოგუგუნე სტადიონი".

იოლად გაიმარჯვა იური ბორზაკოვსკიმაც:

„ვერ ვიტყვი, რომ კონკურენტები არ მყავდა, მაგრამ რბენა მაინც საკმაოდ ნელი გამოდგა".

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# მუზარადისკენ, ნაბიჯით იარ!

**შაბათს რომ ახალმა ზელანდიამ ავსტრალიის ნაკრები 34:24 დაამარცხა და ისტორიაში მეექვსედ სამი ერის თასი მოიპოვა, გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, დღეს კი თქვენს ყურადღებას „შავების“ სამომავლო გეგმებზე შევაჩერებთ, რომელთა შესახებაც მაორთა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ მატჩის შემდგომ ისაუბრა.**



გრემ ჰენრი მომავალს იმედით უყურებს

**ზელანდიელთა** გულშემატკივრებს ჯერ ერთი სიხარულიც კი არ განელებიათ, რომ მწვრთნელი უკვე წლის ბოლოს გასამართ ევროპულ ტურნეში ჰპირდებათ წარმატების მიღწევას.

„შავებმა“ თუ უელსის, ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის ნაკრებები დაამარცხეს, წლეულს უხვად მოხვეჭილ ტიტულებსა თუ ჯილდოებს კიდევ ერთს, „დიდ მუზარადს“ მიამატებენ და თუ ეს ასე მოხდა, 2005 წელი უთუოდ ახალი ზელანდიის სარაგბო ისტორიაში ოქროს ასოებით შევა.

გავიხსენოთ მაორთა უმთავრესი წარმატებები, რომლებსაც მათ წლეულს მიაღწიეს. ჯერ ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებულ ნაკრებს, „ლომებს“ მოუგეს სამიდან სამი თამაში, თანაც ისე, რომ მეტოქისთვის შანსიც არ მიუციათ, შემდეგ კი სამი ერისა და ბლედისლოს თასები ჩაიხუტეს.

ჰენრის ლოგიკით, რომელიც ობიექტურ ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოსაა, სამხრეთული რაგბის ბობოლები, სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია, ევროპულ გრანდებზე გაცილებით ძლიერნი არიან და არა აქვს მნიშვნელობა, ცალ-ცალკე იქნებიან ისინი თუ ერთად, როგორც „ლომების“ შემთხვევაში. ამიტომ ზელანდიას კიდევ ერთი ჯილდოს მოგება არ უნდა გაუჭირდეს.

„ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა „ლომებს“ გაცილებით აღემატებიან. სამი ერის თასზე მსოფლიოს სამი უძლიერესი გუნდი თამაშობს და რადგანაც გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე სამივენი მივიღებთ მონაწილეობას, შეგიძლიათ, ეს ტურნირიც სამი ერის თასის გაგრძელებად ჩათვალოთ“.

დაგვეთანხმებით, ასეთი სიტყვები კელტებისა თუ ანგლოსაქსების თავმოყვარეობას დიდ დარტყმას აყენებს და ალბათ ჰენრის მიზანიც ესაა, მეტოქეებს აქედანვე წაუხდინოს გუნება.

ამის შემდეგ „შავების“ თავკაცი ორიოდ სიტყვით განვლილ ტურნირს შეეხო და საკუთარი გუნდის ქებას მოჰყვა.

„იყო ეპიზოდები, როდესაც ძალიან გაგვიჭირდა. ზოგიერთ თამაშში ვაგებდით, ცუდად [illegible] და მაინც შევძელით მატჩის ბედის შემოტრიალება. [illegible] რთული თამაში [illegible] ძალიან რომ გაგვიჭირდა, მთელი ძალა მოვიკრიბეთ და საბოლოოდ 10 ქულის სხვაობით მოვიგეთ. მე მგონი, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

ჩვენი გუნდი საკმაოდ გამოცდილია, თუმც ეს ჯერ კიდევ არ არის ამ ბიჭების მაქსიმუმი. რაც მთავარია, ყველა მათგანი მხოლოდ მოგებისთვისაა განწყობილი.

პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ვითამაშეთ, მეორეში ცოტათი მოვუკელით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს მთელი ერი უნდა ზეიმობდეს, რადგანაც გუნდიც და მისი თავკაცობაც ბედნიერებად ვგრძნობთ თავს“.

ბოლოს ჰენრი ისევ მომავალზე ალაპარაკდა და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „ლომების“ გაცამტვერებით, ბლედისლოს თასის მოპოვებითა და სამ ერზე გაპირველებით ახალი ზელანდია იმ გზას დაადგა, რომელიც წლის ბოლოს მათ „დიდ მუზარადთან“ მიიყვანს.

**ლადო ფულუკიძე**








# ძმის ფეხსაცმელი — რაინჰოლდ მესნერის ალიბი

**ამ ფოტოებზე აღბეჭდილი მამაკაცი სახელგანთქმული იტალიელი მთამსვლელი რაინჰოლდ მესნერია, რომელიც გახლავთ პირველი ადამიანი, ვინც დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანი მწვერვალი დალაშქრა. ისვეა პირველი, ვინც დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (ევერესტზე) მარტოდმარტო ავიდა. მანვე პირველმა, თანამეწყვილე პეტერ ჰაბელერთან ერთად, ეს მწვერვალი ჟანგბადის ბალონის გამოუყენებლად დალაშქრა...**

**რაინჰოლდ** მესნერი კიდევ არაერთი უნიკალური მიღწევის ავტორია, მაგრამ ახლა სულ სხვა რამეზე ვაპირებთ თხრობას, კერძოდ იმაზე, რაც გუშინწინ პაკისტანის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე გადაღებულმა ამ ფოტოებმა გაგვახსენა.

ისლამაბადურ პრესკონფერენციაზე გადაღებულ ამ ფოტოებზე რაინჰოლდ მესნერი, რომელიც 60 წლისა მოყრილა, 35 წლის წინანდელ ტრაგედიას იხსენებს. იგი ერთ ფოტოზე გვიჩვენებს დედამიწის სიმაღლით მეცხრე მწვერვალ ნანგა პარბატს, რომელსაც სიკვდილის მთას უწოდებენ, ხოლო მეორე სურათზე რაინჰოლდი იქ დაღუპული ძმის სამთო ფეხსაცმელს გვიჩვენებს.

მაშინ, 1970 წელს, როცა 25 წლისა იყო, რაინჰოლდ მესნერმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ექსპედიციის წევრებთან ერთად ნანგა პარბატს შეუტია. ექსპედიციაში მისი ძმა, გიუნტერიც იყო. ექსპედიციის წევრთაგან მწვერვალს სწორედ მათ მიაღწიეს. ძმებმა სიკვდილის მთაზე ახალი, მანამდე უვალი გზა გაკვალეს. ისინი სამხრეთით აღმართული, რუპალის კედლის ავლით ავიდნენ მწვერვალზე.

ეს ექსპედიცია ნანგა პარბატზე რიგით მესამე იყო, რომელმაც მიზანს მიაღწია, ხოლო რაინჰოლდი და გიუნტერი მეოთხენი, რომლებმაც იქიდან გადმოიხედეს.

რაინჰოლდმა ბოლო საიერიშო ბანაკიდან მწვერვალს მარტოდმარტომ შეუტია, რადგან ძმამ გზის გაგრძელებაზე უარი თქვა. რაინჰოლდმა 7 საათის სიარულის შემდეგ ქვემოთ ერთხელაც რომ გაიხედა, დაინახა, რომ მის კვალს წერტილი მიჰყვებოდა. რაინჰოლდს გულმა რეჩხი უყო და ეულად მავალ კაცს დაელოდა. ის კაცი მისი ძმა აღმოჩნდა.

ძმები ყოველგვარი ბარგის გარეშე ავიდნენ მწვერვალზე. არც კარავი ჰქონდათ, არც საძილე ტომრები, არც საკვები და, წარმოიდგინეთ... არც თოკი.

გამარჯვებულნი რომ ბრუნდებოდნენ, რაინჰოლდი დაწინაურდა. დროდადრო უკან იხედებოდა. ბოლოს, ერთხელაც რომ მოიხედა, ძმა ველარსად დაინახა. იფიქრა, ალბათ ჩამომრჩაო. რომ აღარ გამოჩნდა, უკან მიბრუნდა. ერთხანს ეძება, მაგრამ ველარსად მიაგნო.

გიუნტერი უგზო-უკვლოდ დაიკარგა!

მას მერე ნანგა პარბატზე 200-მდე კაცი ავიდა, მაგრამ გიუნტერის კვალს აქამდე არავინ გადაჰყრია.

რაინჰოლდს თითქოს ძმის ტრაგიკული აღსასრული არ ჰყოფნიდაო და, მას ზოგმა კოლეგამ და ჟურნალისტმა დიდი რისხვა დაატეხა თავს. ისინი გიუნტერის... ძმის დაღუპვაში ადანაშაულებდნენ.

ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით რაინჰოლდს მერეც ხშირ-ხშირად ეკითხებოდნენ და ისიც მუდამ თავს იმართლებდა, ამ საქმეში ალალი ვარო.

და აი, 35 წლის შემდეგ გიუნტერ მესნერის ცხედარს მიაგნეს და იქიდან მისი სამთო ფეხსაცმელიც ჩამოიტანეს. რაინჰოლდმა ძმის ფეხსაცმელი უმალ იცნო და ისლამაბადში პაკისტანის მთამსვლელთა კლუბის მხარდაჭერით პრესკონფერენცია მოაწყო.

ფრანს პრესი იუწყება, რაინჰოლდმა თქვა, ეს ფეხსაცმელი იმის დასტურია, რომ ჩემი ძმის სიკვდილში ბრალი არ მიმიძღვისო, მაგრამ ეს სააგენტო იმას აღარ იუწყება, გიუნტერის ფეხსაცმელი როგორ ადასტურებს რაინჰოლდის სიმართლეს ან ბრალეულობას.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# მიდი მოადე! არ უნდა მაგას ფილოსოფია



ვიტალი კლიჩკო რაჰმანის ცემასაც შეეცდება

**კრივში** ჩვეულებრივი ამბავია, მოწინააღმდეგეები ბრძოლამდე ერთმანეთს პრესკლუბში იწვევენ ხოლმე და ხშირად უბრალო ენამწარობის ზღვარს გადაცილებული შეურაცხყოფაზე გადადიან. ასეთი იყო, არის და იქნება მოკრივეთა უმრავლესობა, თუმცა ბოლო ხანს ამ ამბავში გამორჩეული უდავოდ ამერიკელი ჰასიმ რაჰმანია.

ეს შავკანიანი მოკრივე ყოველი ბრძოლის წინ ცდილობს, მეტოქე დაამციროს და ამით ფსიქოლოგიურად მოშალოს. გულშემატკივარს ხან რა დაპირებებს აძლევს და ხან-რას. ბოლო ბრძოლისას რომ ამბობდა, ჩემი მეტოქე ლაზათიანად უნდა ვცემო და საქმე მალევე დავამთავროო, არ გამოუვიდა, ყველა რაუნდის ბრძოლა მოუწყია და ქულებით შეძლო წარმატების მიღწევა.

12 ნოემბერს რაჰმანს ამერიკაში WBC ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოსთან მოუწევს შერკინება, თუმცა ეს ბაქია კაცი უკრაინელის ტიტულებს არ დაიდევთ და ყველა გაზეთსა თუ შოუში გაიძახის, მეორე რაუნდში სიურპრიზს შემოგთავაზებთო.

თავად უკრაინელი სულ სხვა ტიპის ადამიანია, მოწინააღმდეგეთა პროვოკაციებს არასოდეს აჰყოლია და თავი ყოველთვის ღირსეულად უჭირავს. იგი მეტოქეებს სათანადოდ აფასებს და წინასწარ პროგნოზებს არ აკეთებს. ახლაც ამერიკელის გამოხტომებს აუღელვებლად შეხვდა.

„ზემძიმე წონაში რაჰმანის დარი მოკრივე ცოტა თუ მოიძებნება და მე ის რთულ მეტოქედ მიმაჩნია. არ ვაპირებ ლენოქს ლუისის შეცდომის გამეორებას და მოწინააღმდეგის შეუფასებლობის გამო რაიმეს დათმობას. რაც შეეხება ჩემი მეტოქის დაპირებებს მეორე რაუნდთან დაკავშირებით, ერთის თქმა შემიძლია, 20 წელიწადია, კრივში ვარ და იმდენი გამოცდილება მაინც მომიგროვებია, რომ ასე უაზროდ დებიუტშივე არ წავაგო.

საერთოდ, რაჰმანი ძალიან ბევრს ლაპარაკობს და მისი გამონათქვამები საკმაოდ უსიამოვნოა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ რაჰმანს ისეთ სკოლაში არ უსწავლია, როგორშიც მე“ — აღნიშნა კლიჩკომ.

ვინც არ იცით, აქვე გეტყვით, რომ ვიტალი კლიჩკოს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული და ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, მაგრამ რინგზე ალბათ ფილოსოფიას გვერდზე გადადებს და მუშტით შეეცდება, ხეპრე შავკანიანს აღმზრდელობითი მეცადინეობა ჩაუტაროს.

**ლადო ფულუკიძე**

# პროფესიული კრივის მამათა ოლიმპიური ფიქრები

**საკრივო** ორგანიზაცია WBC-ის პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა კომენტარი გაუკეთა იმ ინფორმაციას, რომელიც იუწყება ოლიმპიურ თამაშებზე მოკრივე პროფესიონალთა შესაძლო მონაწილეობას.

„პროფესიონალ მოკრივეთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის თაობაზე აზრი ჩემს მეგობართან, მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტთან, პროფესორ ანვარ ჩოუდრისთან საუბრისას დაიბადა, — ამბობს სულეიმანი. — WBC-სა და აიბას ოფიციალური პირები არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, ხოლო WBC კონგრესს, რომელიც 1999 წელს მოსკოვში ჩატარდა, საპატიო სტუმრის სტატუსით აიბას პრეზიდენტიც იყო. მაშინ ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ჩვენი ორგანიზაციების სამედიცინო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. WBC-ს აგრეთვე აქვს ურთიერთთანამშრომლობის პროგრამა აიბასთან. შესაბამის კომიტეტში შედის იტალიის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო ფალჩინელი და ევროპის კრივის კავშირის პრეზიდენტი რუბენ მარტინესიც“.

„ვფიქრობ, რომ თუ პროფესიონალ მოკრივეებს მოუწევთ მოყვარულთა შეჯიბრებებში და ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა, მაშინ მათ უნდა მიიღონ სამოყვარულო წესები — დასძინა WBC-ს მეთაურმა — მაგრამ ჩემი პირადი აზრით, ოლიმპიურ თამაშებზე პროფესიონალ მოკრივეთა მიწვევამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ოლიმპიადებზე ეგრეთ წოდებული „მესამე ქვეყნების“ წარმომადგენელთა მონაწილეობა“.

„ნებისმიერ შემთხვევაში ეს იდეა საინტერესოა, მაგრამ ინიციატივა აქ უნდა წამოვიდეს აიბასგან და მისი პრეზიდენტისგან. და თუ ასეთ გადაწყვეტილებას ოდესმე მიიღებენ, WBC უეჭველად მხარს დაუჭერს მას“, — თქვა სულეიმანმა.

ოლიმპიზმი

# დანია მომავლისთვის უკვე ემზადება

**კოპენჰაგენს** 2024 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს და თადარიგი უკვე დაიჭირა.

„კოპენჰაგენის მერიის წარმომადგენლები ლონდონში ჩაფრინდნენ, რათა ინგლისელებისგან გამოცდილება მიიღონ. ალბიონელები ხომ 2024-ში აპირებენ ოლიმპიადის მასპინძლობას“ — განაცხადა კოპენჰაგენის მერიის ადმინისტრაციის დირექტორმა ერიკ იაკონსენმა. იგი დარწმუნებულია, რომ დანიელები ყველა საჭირო სამუშაოს ხუთიანზე შეასრულებენ და 19 წლის შემდეგ ოლიმპიადას ღირსეულად უმასპინძლებენ.

**ლაშა გეგეჭკორი**

ველორბოლა

# ლენსი კატრინას და კიბოს წინააღმდეგ

**ლენს** არმსტრონგი რომ გამორჩეული კაცია და არა მხოლოდ სპორტის სამყაროში, ვინ არ იცის. „ტურ დე ფრანსის“ ერთადერთი შვიდგზის ტრიუმფატორი, ველორბოლის ცოცხალი ლეგენდა და მეფე იმითაც გახლავთ ცნობილი, რომ იმ მცირერიცხოვან ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც უსაშინლესი დაავადების, კიბოს დამარცხება შეძლეს.



კიდევ რითაა გამორჩეული ლენსი? ფართო ჯიბითა და დიდი გულით. მას შემდეგ, რაც თვითონ სძლია დაავადებას, სხვათა დახმარებას მიჰყო ხელი და სიმსივნით დაავადებულთა სამკურნალოდ მილიონებს ხარჯავს. აი ახლაც ყველა იმ კიბოიანს, რომელიც საშინელი ქარიშხლის, „კატრინას“ მსხვერპლნი შეიქნენ და სამყაროსგან მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ, 500 ათასი დოლარი უწილადა.

ეს ფული უკანასკნელ ცენტამდე ამ ხალხის საშიში ზონიდან ევაკუაციისთვის და სარეაბილიტაციო დახმარებისთვის დაიხარჯება.

**ლადო ფულუკიძე**



მენი პაკიაო

# ჰექტორი და გოლიათი

**ფილიპინელ** მოკრივე მენი პაკიაოს 10 სექტემბერს მექსიკელ ჰექტორ ველასკესთან ელის შერკინება და რინგამდე გზას გოლიათი მარკ კელოუეი გაუკვალავს. 208-სანტიმეტრიანი კელოუეი ბრძოლის წინ ამერიკის დროშით აპირებს გამოსვლას. ამჟამად პაკიაო მწვრთნელ ფრედი როუჩთან ემზადება და გამარჯვების იმედიც აქვს.

მენი პაკიაოს, მარკ კელოუეის გარდა, მხარდაჭერა აღუთქვა პოპულარულმა ამერიკულმა ჯგუფმა THE BLACK EYED PEAS

ამას წინათ ამ მუსიკალურმა კოლექტივმა ჩაწერა ახალი კომპოზიცია THE CHAMPIONS. იგი მთლიანად ეძღვნება მენი პაკიაოს. სიმღერის პრემიერა 10 სექტემბერს გაიმართება. პაკიაო სწორედ ამ მუსიკალური კომპოზიციის თანხლებით გამოვა რინგზე ველასკესის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მოკრივისთვის სიმღერის შექმნის იდეით გამოვიდა THE BLACK EYED PEAS-ის მონაწილე ალან პინედა, რომელიც ფილიპინებზე დაიბადა და გაიზარდა.

ფიქრობენ, რომ ამ ანსამბლის მიერ შესრულებული კომპოზიციის საბოლოო ვერსიის ჩაწერაში თავად პაკიაოც მიიღებს მონაწილეობას. ანსამბლი მასთან ერთად ჩაწერილ კომპოზიციას ფილიპინებზე გამოუშვებს

**ლაშა გეგეჭკორი**



ფეხბურთი

**ინგლისი**

კონფერენსლიგა. VI ტური

ალდერშოტი 3:2 ძროული

**იტალია**

სერია B. II ტური

ბოლონია 2:1 პესკარა

**ჰოლანდია**

II დივიზიონი. VI ტური

ალმერე 1:2 ვეენდამი

**შვედეთი**

სუპერეტა

XXIII ტური

ატვიდაბერგი 3:0 ფალკენბერგი

გაის 3:0 ვესტეროსი

იორებრო 0:1 იოსტერსი

**ნორვეგია**

I დივიზიონი

XXII ტური

მოსი 4:2 ფოლო



AFP ბრაზილიიდან



AFP ვილფრანშ-სუ-მერიდან

## საყვინთი ბრძოლები

ფრანგულ ვილფრანშ-სუ-მერში დაივინგის, სხვაგვარად კი ყვინთვის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ჩემპიონი ვენესუელელი კარლოს კოსტე შეიქნა, რომელმაც 105 მეტრ სიღრმეზე ჩაყვინთა. შეჯიბრების ფავორიტის, ავსტრიელი ჰერბერტ ნიჩის საქმე კი ფინთად წავიდა — ის 107 მეტრზე გაექანა და ძლივს მოაბრუნეს.




AFP ვილფრანშ-სუ-მერიდან

## ორი სათვალიანი

ბრაზილია კვლავ ხარობს – აშკარაა, გოგოს გაისად გერმანიაში გამგზავრება მოუწევს, რათა თავის გუნდს მხარი დაუჭიროს. ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში, „მანე გარინჩას" სტადიონზე მასპინძლებმა ჩილელები დაამარცხეს და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისკენ გაიხედეს. სპილოს ძვლის ნაპირულ მოცეკვავე გოგოს კი ალბათ არ გამოუვა თავისი სამკერდე როგორ გერმანიაში ჩვენება, მისი ქვეყნის ნაკრები კამერუნელებმა მისსავე ნაპირზე დაამარცხეს.



AFP აბიჯანიდან

## დიადის გული

კანბერის ეროვნულ მუზეუმში ეს-ეს არის გამოფინეს ავსტრალიის უგანთქმულესი სადოღე ცხენის ფარ ლაპის 6,2 კილოგრამიანი გული. საქმე იუბილეს ეხება: ფარ ლაპმა სწორედ 75 წლის წინათ მოიგო მელბურნის თასი.



AFP კანბერიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხიმერიკი, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბულაძე, ლევან კულიჯანიძე
ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: ჯემალ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიციანიძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჩელია, ხათუნა ბუხუნაშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ლევალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე
თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge